ПРОЛЕТАРЕБО, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 142 (13227) | პარასკევი, 18 ივნისი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების ჯგუფი (მარცხნიდან მარჯვნივ) — პირველ რიგში: ზინა გოგოლაშვილი — წესტაფონის რაიონის სოფელ სიმონეთის კოლმეურნეობის მეჩაიე, ნათელა წილოსანი — — ლანჩხუთის რაიონის სოფელ აკანის კოლმეურნეობის აგრონომი, არჩილ დიასამიძე — ბათუმის მეხუთე სამშენებლო ტრესტის კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი, ლეილა ჭითანავა — ზუგდიდის რაიონის სოფელ ზედა ეწერის საბჭოთა მეურნეობის მეჩაიე; მეორე რიგში: ლუბა სახოკია — ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, კონსტანტინე სანდუხაძე — ზუგდიდის რაიონის სოფელ ორსანტიის კოლმეურნეობის ბრიგადის ხელმძღვანელი, ზოსიმე ტკილდიანი — ენგურჰესის* კაშხალმშენი ხარატი.

ფოტო ვლ. ბინზაბურგისა და შ. ჩხეტიანისა.

ხალხის ნდობა გვავალებს!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოები ახორციელებენ დიდ ამოცანებს სახალხო მეურნეობის გეგმების შესრულების, ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლების საქმეში.

თითქმის სამი თვე გავიდა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შემდეგ. ახალი საბჭოთა ორგანოები პრაქტიკულად შეუდგნენ საკუ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებების განხორციელებას, გადაწყვეტილებებისა, რომლებიც ნაკარნახევია ცხოვრებით. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განუხრელი აღმავლობის ინტერესებით, მშრომელთა ყოფაცხოვრების შემდგომი გაუმჯობესებისათვის ზრუნვით.

პარტიის მიზანდასახულობათა განსახორციელებლად მშრომელთა ფართო მასების დარაზმვის საქმეში დიდი როლი უნდა შეასრულონ მშრომელთა დეპუტატების საბჭოებმა, დეპუტატებმა.

სახალხო მეურნეობის გეგმების შესრულება, მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობა და საბჭოების მჭიდრო კავშირი მასებთან მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მონაწილეობენ დეპუტატები საბჭოების პრაქტიკულ საქმიანობაში, რომ ორ რაზმავენ მასებს წარმატებათა მოსაპოვებლად, არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

დღეს კიდევ უფრო გაძლიერდა საბჭოების, დეპუტატების როლი. ადგილობრივ საბჭოებს ახლა ყველა საჭირო პირობა აქვთ ნაყოფიერი საქმიანობისათვის. ადგენილია ერთიანი საბჭოთა ორგანოები. აღარ არის ძნელად სამართავი გიგანტური რაიონები, საბჭო სრულფუფლებიანია თავის ტერიტორიაზე ეკონომიური და კულტურული მშენებლობის მართვაში.

ტაკიცეა სოფლის მეურნეობასთან, თვითეულ საწარმოსთან კავშირი ხელისუფლების ორგანოებისა რაიონული საბჭოდან დაწყებული. სახოფლო და ადგილ საბჭოთა დამთავრებული. შეიძლება თქვას: არ არის არც ერთი საწარმო, კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა, რომელსაც საბჭოში თავისი წარმომადგენელი არ ჰყავდეს: ეს მათ აძლევს უფიდეს შესაძლებლობას გავლენას ახდენდნენ ცხოვრების ყველა მხარეზე და უწინარეს ყოვლისა წარმოებაზე: იცოდნენ მათი საჭიროებანი და დროზე ეხმარებოდნენ მათ, კონკურენს უწევდნენ სახელმწიფო გეგმების შესრულებას, ხელს უწყობდნენ მოწინავე გამოცდილებისა და მეცნიერების დანერგვას, ფართო ეკონომიურ საფუძველზე იყენებდნენ მატერიალურ და მორალურ სტიმულებს სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის, ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურების საქმეში.

იმ დიდი ამოცანების გადაჭრა, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და მოსახლეობის ყოფაცხოვრების გაუმჯობესების საქმეში დასახეს, აღგილობრივი საბჭოების, აღმასკომების მუდმივ ყურადღებას მოითხოვს. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესება საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების საერთო პროგრამის განუყოფელი ნაწილია.

დასახული ამოცანები მაშინ განხორციელდება წარმატებით, როცა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში ჩავამთ მშრომელთა ფართო მასებს. ამ საქმისათვის მაქსიმალურად გამოვიყენებთ ადგილობრივ სახსრებსა და ხალხის შრომითს მონაწილეობას.

ჩვენი რესპუბლიკის ბევრმა რაიონულმა, სადამო და სასოფლო საბჭომ მუშაობა გარდაქმნა. ხელში აიღო საეფურნეო და კულტურული. მშენებლობის ხელმძღვანელობისა და ხალხის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების სწორი კურსი. დეპუტატების მეშვეობით დარაზმა მშრომელთა ფართო მასები სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

არჩევნების შემდეგ ადგილობრივმა საბჭოებმა ამომრჩეველთა განაწესის შესასრულებლად ბევრი რამ გააკეთეს. წითელწყაროს რაიონული საბჭოს აღმასკომმა, დეპუტატებმა და აქტივმა შეისწავლეს სოფლების კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისა და სოფლების კეთილმოწყობის მდგომარეობა. საკითხი განიხილეს ამას წინათ გამართულ სესიაზე და დასახეს კონკრეტული სამოქმედო გეგმები. აშკარად გამოჩნდა ხალხის დარაზმულობისა და ერთგულების დიდი ძალა. ფართოდ გაჩაღდა მუშაობა დასახული გეგმების შესასრულებლად.

ამომრჩეველთა განაწესის შესასრულებლად აქტიურად იბრძვიან თელავისა და მაიაკოვსკის რაიონული და სასოფლო საბჭოები, რომლებმაც ხალხის საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად ბევრი რამ გააკეთეს.

მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ ზოგიერთი რაიონული საბჭოს სესიებზე კარგად განიხილავენ საკითხებს, მაგრამ ცუდად ზრუნავენ მიღებულ დადგენილებათა შესრულებისათვის. დასახული გეგმების განაღდებისათვის. მაგალითად, ახალქალაქისა და ახმეტის რაიონებში ხალხის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის ზრუნვა არადამაკმაყოფილებელია. არ წარმოებს აბანობისა დ კლუბების მშენებლობა, ზოგიერთი სკოლა და საექიმო უბანი შეუფერებელ ბინებშია. გზები კეთილმოუწყობელია. ამ საქმეში არა ჩანს ხალხის შრომითი მონაწილეობა. ვერ იყენებენ ადგილობრივ შესაძლებლობებს.

რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ზოგიერთი ძველი და ახლად შექმნილი რაიონების ცენტრები და სოფლები კეთილმოუწყობელია. ცუდია სასოფლო გზები. აკლიათ წყალი, არ ჰყოფნით სასკოლო შენობები, არ აქვთ საოჯახო ნივთებისა და ტანსაცმლის შემკეთებელი სახელოსნოები. ამ საქმეში დაყოვნება ადარ შეიძლება, ჩვენ საქმეს სხვა არავინ გაგვიკეთებს, დროა დეპუტატებისა და აქტივის დახმარებით შევიწყალოთ რაიონის, დაბისა და სოფლის საჭიროებანი მაქსიმალურად გამოვიყენოთ ადგილობრივი შესაძლებლობანი და სახსრები, ხალხის შრომითი მონაწილეობა.

საბჭოებს, დეპუტატებს ყოველდღიური ურთიერთობა უნდა ჰქონდეთ ხალხთან, ამომრჩევლებთან. მათ უნარი უნდა შესწევდეთ შეამჩნიონ და მზარი დაუჭირონ ხალხის ყოველ სასარგებლო თაოსნობას, სახალხო მეურნეობის აღმავლობისაკენ მიმართონ ყოველი ახალი ინიციატივა, გასწორონ მისი პოპულარიზაცია, ფართოდ დანერგონ იგი სახალხო მეურნეობის პრაქტიკაში.

ადგილობრივი საბჭოების, მათი დეპუტატების საქმიანობა მასებს უნდა ულვიძებდეს უკეთ მუშაობის მოსწრაფებას, უვითარებდეს შემოქმედებითს ინიციატივას და აქტივობას, ხელს უწყობდეს ხკკ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებას.

ხალხის სიკეთე კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის მთავარი მიზანია. ამიტომ საბჭოებმა, აღმასკომებმა, დეპუტატებმა მეტი ინიციატივა, მეტი მომთხოვნელობა უნდა გამოიჩინონ ხალხის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, ამომრჩეველთა განაწესის შესრულებისათვის.

საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის გახსნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია გაიხსნება დღეს, 18 ივნისს, დილის 10 საათზე. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

კრემლში

17 ივნისს საბჭოთა მთავრობამ კრემლის დიდ სასახლეში მოაწყო დარბაზობა შვეიცარიის პრეზიდენტ-მინისტრის ტაგე ერლანდერის პატივსაცემად.

დარბაზობაზე იყვნენ ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. მიკოიანი, მ. ა. სუსლოვი, დ. თ. უსტინოვი და სხვები. (საკდესი).

ტაგე ერლანდერი მოსკოვს დაგრუნდა

მოსკოვი, 17 ივნისი. (საკდესი). დღეს შვეიცარიის პრეზიდენტ-მინისტრი ტაგე ერლანდერი მოსკოვს დაბრუნდა ტაშკენტსა და ყირიმში მოგზაურობიდან.

მეოთხის ფორუმი

17 ივნისს მოსკოვში კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გახსნა საბჭოთა საზოგადოებრიობის წარმომადგენლთა მშვიდობის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და განთავისუფლების სრულიად საკავშირო კონფერენცია.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის წარმომადგენლები — საბჭოთა კავშირის მშვიდობისათვის მოძრაობის აქტიური მოღვაწენი. სტუმრებს შორის არიან — მშვიდობის მსოფლიო საბჭოს დელეგაცია, მრავალი სახელმწიფოს მშვიდობის მოძრაობანი.

მოკლე შესავალი სიტყვით კონფერენცია გახსნა საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ, მწერალმა ნ. ს. ტიხონოვმა. მან თქვა, რომ კონფერენცია მოწვეულია მშვიდობის საოფლიო კონგრესის წინ, რომელიც ჰელსინკში გაიმართება. აქ შეკრებილთა, განაცხადა ნ. ს. ტიხონოვმა, რათა მხარი დაუჭიროთ მშვიდობიმოყვარე ძალებს ამ ფორუმს და დაესახოთ საბჭოთა კავშირის მშვიდობის მოძრაობა ამოცანები კონგრესისათვის მზადებაში.

კონფერენციის დელეგატებმა დაამტკიცეს დღის წესრიგი. ორი დღის სხდომების დროს განიხილავენ შემდეგ საკითხებს:

1. საბჭოთა ხალხის ბრძოლა იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ, ხალხთა ეროვნული დამოუკიდებლობის მხარდასაჭერად მშვიდობისა და განიარაღებისათვის.
2. მშვიდობის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და განთავისუფლების კონგრესის დელეგაციის არჩევნები.
3. საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის არჩევნები.
4. კონფერენციის დოკუმენტების მიღება.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ნ. ს. ტიხონოვმა. (საკდესი).

მეობლიურ საქართველოში

მკა გაჩაღდა



ბარდაბანი. (სპეც. კორ.). ოქროსფრად მოელვარე ყანებში რუხიბოლოს საბჭოთა მეურნეობის კომბაინერები ს. იმანიელოვი, ბ. მუსტაფაევი, ე. ბაბაევი დილადრიანად გასულან ქერის სამკელად. დღეში თვითეული კომბაინით თითხმეტ-თოთხმეტი ჰექტარი — ასეთია მათი ყოველდღიური მიჩვენებელი. მოსავალი? კარგია! საშუალოდ ჰექტარზე ილებება 27 ცენტნერი მარცვალი.

რუხისბოლოელი კომბაინერები ლ. ბაბაევი და ს. ისმაილოვი იბრძვიან იმისათვის, რომ სადღაცელი კომბაინერის ს. ბეკეანიშვილის „პატრიოტულ" თაოსნობის პასუხად ნაკისრი ვალდებულება სასახელოდ შეასრულონ. თვითეულმა მათგანმა ქერის ოცეე მომკა სამიე ჰექტარზე მეტ.

მექანიზატორებმა გუშანდელი დღის ჩათვლით ქერის მოსავალი აიღეს 688 ჰექტარი და საშუალოდ ჰექტარზე გალეწეს 26 ცენტნერი მარცვალი.

დიდი ალობა დაიწყო ახალი საბჭოთა მეურნეობის მინდვრებშიც. ველის ხომალდებმა ქერის ყანებს შეუტიეს. მკიან სწრაფად და ეფექტიანად. აქ ქერის მოსავალი აღებულია 300 ჰექტარზე და ნაცვლად 14 ცენტნერისა საშუალოდ ჰექტარზე მიიღეს 18 ცენტნერი მარცვალი.

წელს სამგორის მერძეეობის საბჭოთა მეურნეობამ კარგად მოუარა თავთავიანი მარცვლეული კულტურების ნათესებს, და შედეგიც კარგია. საშუალოდ ჰექტარზე იღებენ 22 ცენტნერ ქერს და ამით მოსალინობის გეგმას 8 ცენტნერით აჭარბებენ.

კალეგზე ქერის მოსავალი დაბვიკვა სამგორის საკრმე მეცხოველეობის და რუსთავის მეღორეობის საბჭოთა მეურნეობებში.

— მიუხედავად პირველული ამინდისა — განაცხადა საუბარში საქართველოს კომპარტიის ჭარხლის რაიონის პირველმა მდივანმა ამბ. ვ. მირიანაშვილმა, — შვიდწლედის დამამთავრებელ წელს გარდახტომაც მხეერ-მოეხვევებმა ნაყოფიერად იმუშავეს და ახლა იმკიან თავიანთი შრომის შედეგს. 16 ივნისისათვის სულ რაიონში ქერი მომკილია 688 ჰექტარი, საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 20 ცენტნერი მარცვალი, გეგმით კი მბრალდ 14 ცენტნერი უნდა მიგვეღო. რაიონის მექანიზატორებს სულ ასაღები აქვთ ქერი და ხორბალი 17 ათასი ჰექტარი. მათ პირობა დადეს აღნიშნული სამუშაო 12 სამუშაო დღეში დაამთავრონ. ამასთან ერთად ნაწვერალზე სიმინდი დათესონ 4 ათას ჰექტარზე ნაცვლად შარშან დათესილი 2 ათასი ჰექტარისა.

ახალი ელექტრომტვირთავი

ჟუთაისი. (საკ. კორ.). ელექტრომექანიკური ქარხნის კოლექტივი შეუდგა ახალი პროდუქციის — ელექტრომტვირთავის წარმოების ათვისებას.

„ეპ-501" ტიპის ელექტრომტვირთავი, რომლის გამოშვება ქარხანამ წელსვე უნდა დაიწყოს, პირველი იქნება ჩვენს ქვეყანაში. ამ ტიპის ელექტრომტვირთავი არსებითად განსხვავდება თავისი წინამორბედებისაგან. იგი აკუმულატორული ბატარეებით იმუშავებს და ამასთან მოხმარების ნაკლები რადიუსის გამო მეტი მანევრირების უნარით გამოირჩევა.

ახლა ქარხანაში სპეციალური გრაფიკის მიხედვით მომდინარეობს წარმოების მომზადება 5 ტონის ტვირთამწეობის ასეთი მანქანების გამოსაშვებად. შემდეგში მომზადდება პირობები 10, 32, და 40 ტონის ტვირთამწეობის ელექტრომტვირთავების წარმოებისათვის.

ამ მძლავრ მანქანებს ფართოდ გამოიყენებენ მძიმე ტვირთების გადასატანად ნავსადგურებში. აგრეთვე მეტალურგიულ და მანქანათმშენებლო ქარხნებში.

ყოველი მესამე მუშა სწავლობს

ჭიათურა. (საკ. კორ.). ასობით ახალგაზრდა მუშაობს მარგანტრესტის ავტომატურ დამუშავებ ფაბრიკაში. ისინი შრომისმოყვარეობით გამოირჩევიან და სწავლაშიც ბეჯითი არიან. მისასალმებელია, რომ ფაბრიკის ყოველი მესამე მუშა სწავლობს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, ტექნიკუმებსა და საღამოს სკოლებში.

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტები არიან ელექტრომაგნიტური სეპარატორის შემანქანები როზა გეგია და ნინელ კეჩრიდი, ტრანსპორტიორის ლენტის შემანქანეები ელგა ჩინჩალაძე და ეთერ ხვედელიძე. მარგანეცის სინჯის აღებები ნანი აბუასლაძე, ზეინაბ ალბეგი თემურ ტყემალაძე და ნუგზარ ჭანკვეტაძე.

ფაბრიკის ხელმძღვანელობამ ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზე 11 კაცი გაგზავნა.

საბარეოს ლიკვიდატორები

თბილისის ელექტროტექნიკური ქარხნის ოტატი ო. მაისურაძე და კონსტრუქტორი ა. ბოჭორიშვილი ახლა საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საღამოს განყოფილების დიპლომანტები არიან და სულ მალე ინჟინრის დიპლომებით დაუბრუნდებიან მშობლიურ საწარმოს. ამავე ინსტიტუტის საღამოს განყოფილებაზე სწავლობენ ელექტრომონტიორი ო. ხვადაგიანი, ხარატი ა. პაპოლოვი, ელექტრომემონტაჟი მ. ოსეფაშვილი. ქარხნის მეტალური მ. ბალანჩიგაძე უცხო ენათა ინსტიტუტის IV კურსის საღამოს განყოფილების სტუდენტია.

ი. ბეგეშიძე.

ბულუკიძელთა პატაკი

ბულუკიძის რაიონმა, —აცნობეს რედაქციას საქართველოს კომპარტიის ბულუკიძის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. მელქაძემ, რაისამბჭოს თავმჯდომარემ მ. აბზიანიძემ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა მ. ნადირაძემ, — ვადაზე ადრე 10 ივნისისათვის გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის ნახევარი წლის გეგმა. ხორცის მიყიდვის გეგმა შესრულებულია 125 პროცენტით, რძისა — 100,1 პროცენტით, ხოლო კვერცხის მიყიდვის წლიური გეგმა — 100 პროცენტით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს მიიღო მეცნიერი სეისმოლოგები

17 ივნისს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. ს. ძოწენიძემ მიიღო იუნესკოს სეისმოლოგიისა და სეისმომედეგი მშენებლობის საერთაშორისო კომიტეტის თათბირის მონაწილეები, რომელიც თბილისში მიმდინარეობდა.

დარბაზობაზე იყვნენ იუნესკოს სეისმოლოგიისა და სეისმომედეგი მშენებლობის საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარე, სეისმოლოგიისა და დედამიწის წიაღის ფიზიკის საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი, პროფესორი ჯ. ჰოჯსონი (კანადა), სსრ კავშირის გეოფიზიკური კომიტეტის თავმჯდომარე, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვ. ბელოუსოვი, იუნესკოს სამდივნოს წარმომადგენელი ე. ფურნიე დ'ალბი, სსრ კავშირის გეოფიზიკური კომიტეტის წევრი ნ. შებალინი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიზაციისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის დირექტორი კ. ზავრიევი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი ა. ბუხნიკაშვილი და სხვები.

თათბირის მონაწილეებმა ამბ. გ. ს. ძოწენიძეს გააცნეს მეცნიერ სეისმოლოგთა ფორუმის მუშაობა.

ამბ. გ. ს. ძოწენიძემ გამოთქვა რწმენა, რომ თათბირის მუშაობა ხელს შეუწყობს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა მეცადინეობის გაერთიანებას ბუნების სტიქიურ ძალებთან — მიწისძვრებთან ბრძოლაში.

პროფესორმა ჯ. ჰოჯსონმა თათბირის მონაწილეთა* სახელით მადლობა უთხრა საქართველოს სსრ რესპუბლიკის მთავრობასა და რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიას თათბირის კარგად მოწყობისათვის. (საკდესი).

გაზეთ „პრავდის" მკითხველთა კონფერენცია

17 ივნისს თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის მცირე დარბაზში გაიმართა გაზეთ „პრავდის" მკითხველთა კონფერენცია.

კონფერენცია გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა დ. სტურუამ.

კონფერენციაზე გამოვიდა გაზეთ „პრავდის" რედაქტორი ამერიკის ქვეყნების დარგში გ. რატიანი. მან ილაპარაკა გაზეთ „პრავდის" რედაქციის მუშაობაზე. გაზეთის მომავლის გეგმებზე.

გაზეთის მკითხველებმა — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა მ. მარიანაშვილმა, თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის პარტკომის მდივანმა კ. გურულმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის დირექტორმა ვ. ჭავჭანიძემ, თბილისის კიროვის სახელ ობის ჩარხსაშენებელი ქარხნის დირექტორმა შ. ჩიქოვანმა, ვ. ზურაბიშვილმა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ ნ. ჭავჭავაძემ გამოთქვეს კონკრეტული წინადადებანი და სურვილები, რომელთა მიზანია გაზეთ „პრავდის" რედაქციის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება.

დასასრულ გ. რატიანმა უპასუხა შეკრებილთ შეკითხვებზე და პირობა მისცა, რომ გამოთქმულ წინადადებებსა და სურვილებს გაზეთ „პრავდის" რედაქცია გაითვალისწინებს შემდგომ მუშაობაში. (საქდისი).

კამერული მუსიკის კონცერტი

ამიერკავკასიის მუსიკალური ფესტივალი

ერევანი, 17 ივნისი. (სომხდეპეშა). „ამიერკავკასიის მუსიკალური გაზაფხულის" მეოთხე დღეს დიდი სალამოზეობა მაანიჭა ფესტივალის მონაწილეებს. კომპოზიტორთა სახლის სავე დარბაზში მოისმინეს კამერული ნაწარმოებები. ფართო პროგრამა შეიცავდა თოთქმის ოცი ავტორის ახალ ნაწარმოებებს.

მრავალი ჟანრით არის წარმოდგენილი დათვალიერებაზე ს. ყერბაშიანის შემოქმედება. თბილისელმა მუსიკისმცოდნემ ხ. მუსხელიშვილმა დაახასიათა მისი ნაწარმოებები და აღნიშნა კომპოზიტორის თავისებური ხელწერა. საათნოვას თემებზე შექმნილი მისი „რაფსოდიის" სახეთა მკაფიოობა და მთლიანობა. აგრეთვე ერევნის კონსერვატორიის სასულე ინსტრუმენტების კვარტეტის მიერ შესრულებული მასივე „იუმორესკა" და „ცეკვა".

მსმენელებმა გულთბილად მიიღეს ნიჭიერი მომღერალი ფ. ხორენიანი, რომელმაც შეასრულა მელოდიური სიმღერები — კ. ზაკარიანის „სიტარფოს", მ. მაზმანიანის „მოიბავენს", ლ. სარიანის „წყალო თუ არა" და ბ. ალ-ნიანის „ჩემი კროიკანი".

კონცერტზე პიანისტმა კ. მალხასიანმა დიდი ტემპერამენტით შეასრულა გ. ოგანეზის ეტიუდი პროლუდია ფორტეპიანოსათვის.

სომხეთის სსრ და აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტმა ა. პეტროსიანმა დამაჯერებელ გააცნო არტ. ხაჩატრიანის სიმღერები „ვარდის ბუჩქიდან" და „საათნოვა" და ე. სალრუნის „ალაგეზი". შესანიშნავად იმღერა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ო. ბადალიანმა ლიროკული სიმღერები — ა. მურადგულიანის „მშობლიური მთები" და ხ. ავეტისიანის „ამბავი".

მაღალი შეფასება დაიმსახურეს ლ. ასტვაცატრიანის, ა. ტერტერიანის, ა. სატენიკის, გ. არმენიანის, ე. არუთიუნიანის, ტ. მანსურიანის, ა. მანდაკუნიანის ნაწარმოებებმა.

„ამიერკავკასიის მუსიკალური გაზაფხულის" ერევნის ტურის პროგრამაში შეიყარა ქორეოგრაფიული ნაწარმოებები. ესენია ა. სპენდიაროვის „სამი პალმა", ა. ბაბაჯანიანის „ბერული ბალადა", ე. ოპანესიანის „ცისფერი ნოტტურნი". თუსტეკვალის მონაწილეებმა ეს სამი ქორეოგრაფიული პიესა ნახეს ა. სპენდიაროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში (ხელმძღვანელი — ხელოვნების თამაზარებული მოღვაწე ი. ჩანგა, მხატვარი — ა. მინასიანი). სპექტაკლს დირიჟორობდა სომხეთის სსრ ხელოვნებაში დამსახურებული არტისტი ა. ვოსკანიანი.

ჰქმნიან „ეობელურ დივიზიას"

ვაშინგტონი, 17 ივნისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა გუშინ გასცა განკარგულება შეიქმნას ახალი, ავიაციით გადაადგილებადი, „ობობლური" დივიზია, რომელსაც შეეძლება მძლავრი საიერიშო დარტყმები მიაყენოს მოწინააღმდეგეს. მისი პირადი შემადგენლობა განსაზღვრულია 15.787 კაცით. დივიზია აღჭურვილი იქნება 434 თვითმფრინავით, მეტწილად ვერტმფრინავებით.

ახალი დივიზია დაბანაკდება ფორტენინგში (ჯორჯიის შტატი).

აიუბ ხანის ვიზიტი

პაკისტანი. პრეზიდენტი აიუბ ხანი, რომელიც ეგვიპტეში იყო ორი დღის ოფიციალურ ვიზიტად, ლონდონს გაივლიდა. ინაბა ბაკისტანის ოფიციალურ რესპუბლიკაში ყოფნის დროს აიუბ ხანი აწარმოებდა მოლაპარაკებას პრეზიდენტ ნასერთან ინაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და პაკისტანის თანამშრომლობის საკითხებზე. მოლაპარაკებათა შეთანხმება ამ თანამშრომლობის შემდგომი განვითარების შესახებ. პრეზიდენტებმა განიხილეს აგრეთვე მთელი რიგი საერთაშორისო საკითხები, მათ შორის, აზიისა და აფრიკის ქვეყნების აღმავლობის მომავალი მეორე კონფერენციის საკითხი.

საბ მიდის რაკეტები

პარიზი, 17 ივნისი. (საკდესი) საფრანგეთის ლანდის დეპარტამენტში მოეწყო მართული უუბმარების „ჰოკის" პირველი სროლა, იეწყება სამხედრო ეურნალი „არმე". სროლას გასული თვის მანძილზე აწარმოებდნენ მეტროპოლიის საზენიტო არტილერიის ქვეგანაყოფები და საფრანგეთის შეიარაღებული ძალების ნაწილები, რომლებიც დასავლეთ გერმანიიდან გადმოიყვანეს.

მართული უუმბარები „ჰოკი" ამერიკული რაკეტებია, რომლებსაც დასავლეთ ევროპაში აწარმოებენ. რაკეტები მომარჯვებულია ატომური მუხტით აღჭურვისათვის.

ამჟამად, როგორც ეურნალი „არმე" წერს, ამ რაკეტებით აღჭურვილია საფრანგეთის სახმელეთო ჯარების სამი პოლკი.

ამ ტიპის უუმბარები, აღნიშნავს ეურნალი, შეერთებულმა შტატებმა გაგზავნეს, კერძოდ, სამხრეთ ვიეტნამში, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვართან.

კიდევ ერთი საფეხური „ბაზა"

კაირო. 17 ივნისი. (საკდესი). მენის საადგილოს კორესპონდენტი კუვეიტიდან იტყობინება, რომ ბაჰრეინის კუნძულზე ინგლისი აშენებს სამხედრო ბაზას „დედამიწა-ჰაერის" რაკეტების გასაშვებად. კორესპონდენტი იმოწმებს კუვეიტის გაზეთ „ატ-ტალიას" და წერს, რომ კუნძულზე შეინიშნება ინგლისის სამხედრო ქვეგანაყოფების ინტენსიური გადაადგილება.

ეროვნული საქმეთა მინისტრი

ბონი, 17 ივნისი. (საკდესი). ბონში ეროვნული საქმეთა მინისტრად დაინიშნა ბერლინელი ადვოკატი ერნსტ ლე

.

ოლდუოტერი მოქმედებს

ნიუ-იორკი, 17 ივნისი. საკდესის კორესპონდენტი გ. ვასილიევი გვატყობინებს:

პრეზიდენტის არჩევნებში დამარცხებულმა ბარი გოლდუოტერმა გუშინ განაცხადა, ვეცდები, 1968 წელს სენატში ამირჩიონთ. როგორც ცნობილია მომდინარე წლის დამდეგამდე ეს ულტრამემარჯვენე მოღაწე იყო სენატორი, არიზონის შტატისაგან. გოლდუოტერი ვერც პრეზიდენტი გახდა და სენატორობაც დაკარგა, ვინაიდან სენატში მის ყოფნის ვადა გაუვიდა. ზოგს ეგონა, ნოემბერში სასტიკი დამარცხების შემდეგ გოლდუოტერი წელში ვეღარ გასწორდებაო. მაგრამ არიზონელი მედუქნე-მილიონერი იარაღის დაყრას რიდი აპირებს. იგი განსაკუთრებით გმოცოცხლდა მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებული შტატები ვიეტნამის ომის გაფართოების გზას დაადგნენ. თავის გამოსვლებში გოლდუოტერი წამდაუწუმ ადიდებს ამერიკის ახლანდელი მთავრობის ლიდერებს.

ეროვნული ფერადოვნებანი

ადამიანის ჯეთილდღეობა — საბჭოების მთავარი საზრუნავი

დეპუტატი — ხალხის მსახური

ხალხის მსახური!.. ხშირად გამიგონია ეს სიტყვები დეპუტატის შესახებ. მართლაც, დეპუტატის წოდება დიდ ვალდებულებასა და მოვალეობას გვაკისრებს.

ხშირად ვხვდები ამომრჩეველს, ყურს ვუგდებ მათს წინადადებებსა და მოთხოვნებს, ხოლო შემდეგ ყოველდღიურად ვზრუნავ ამ მოთხოვნების დაკმაყოფილებისა და პრაქტიკულად განხორციელებისათვის. საამისოდ ხშირად მივმართავ სხვადასხვა უწყებებს, სამინისტროებსა და ხელისუფლების დგენილობრივ ორგანოებს.

ქ. ქუთაისის კეთილმოწყობისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენებლობისათვის დამატებით ასიგნებათა საკითხი დავაყენე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიაზე, სადაც სიტყვით მომიხდა გამოსვლა. ამას ის შედეგი მოჰყვა, რომ ქალაქის კეთილმოწყობისათვის, აგრეთვე სახალხო განათლების ობიექტებისათვის დამატებით გამოიყო საჭირო თანხები.

ამომრჩეველთა წინადადებების გათვალისწინებით ბევრი საკითხი დადებითად გადაიჭრა. მაგალითად, ახალი სკოლა აშენდა სოხუმის ქუჩაზე, ხოლო ბაგა-ბაღი — ნინოშვილის ქუჩაზე; გაუმჯობესდა საარჩევნო ოლქის მშრომელთა მომსახურება ქალაქო ტრანსპორტით. სამკერვალო ფაბრიკის, პოლიკლინიკის, ელექტრომექანიკური და საკონსერვო ქარხნების მიმართულებით დამატებით გამოიყო სამარშრუტო ტროლეიბუსების ეკიპაჟები, ავტობუსები; კეთილმოეწყო დადიანის ქუჩა.

საქალაქო საბჭოს დეპუტატებთან ერთად შეგიწვევდა აბრეშუმის კომბინატსა და ლითოფონის ქარხანაში მუშათა საყოფაცხოვრებო პირობები. გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად საკითხი დავაყენეთ სათანადო ორგანოების წინაშე, და, უნდა ითქვას, ბევრი მტკივნეული საქმე მოგვარდა.

მონაწილეობას ვიღებ საქალაქო საბჭოს სახალხო განათლებისა და კულტურის მუდმივი კომისიის მუშაობაში. შევისწავლე საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე საყოველთაო-საგალდებულო სწავლების კანონის განხორციელების მდგომარეობა და ამომრჩეველთა აქტივის დახმარებით მივაღწიეთ იმას, რომ სასკოლო ასაკის უკლებლივ ყველა ბავშვი ჩაებნიან სწავლებაში.

ამომრჩეველთა განაწესის შესასრულებლად მათთან ოფიციალურ შეხვედრებს ვიოდი ველოდები. ყოველთვის ვპოულობ დროს იმისათვის, რომ შეეხვედე ადამიანებს, გამოვიდე მათთან საუბრებით. ლექციებითა და მოხსენებებით. ამ მხრივ, როგორც დეპუტატს, განსაკუთრებით ფართო სარბიელი მაქვს დიასახლისთა კულტურის სახალხო უნივერსიტეტში, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ.

დასამალავი როდია, ამომრჩეველთა ზოგიერთი მოთხოვნა, რაც მათს ყოფაცხოვრებას ეხება, ჯერ კიდევ არ არის დაკმაყოფილებული. ყოფაცხოვრების საკითხები ჩემი, როგორც დეპუტატის, ყველაზე კეთილშობილური საზრუნავია, და ყოველი ღონისძიებით ვცდილობ უკეთ ვასრულო ამომრჩეველს.

კეთევან ნადირაძე,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ქუთაისის 21-ე საშუალო სკოლის დირექტორი.

პირველი ნაბიჯები

ჯერ სამი თვე არც კი გასულა, რაც შეიქმნა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისია საზოგადოებრივ საწყისებზე, დროის ამ მოკლე მონაკვეთში უკვე თვალნათლივ ჩანს კომისიის ნაყოფიერი მუშაობის შედეგი.

მუდმივმოქმედმა კომისიამ თავისი მუშაობა ასე დაიწყო. მიმდინარე წლის 15 აპრილს მოვიწვიეთ პირველი სხდომა, დავამტკიცეთ სამუშაო გეგმა, გავანაწილეთ დავალებები, შეეარჩიეთ აქტივისტები 15 კაცის შემადგენლობით. სხდომაზე გამოთქვა აზრი შეგვესწავლა საავადმყოფოებისა და მოსახლეობის მედიკამენტებით მომარაგების მდგომარეობა. ეს საქმე დავავალეთ კომისიის აქტიურ წევრს, დეპუტატ ლია ჯოფხაძეს, აქტივისტებს კ. ცომაკურიძესა და ე. კაკუშაძეს.

შემოწმებით გამოირკვა, რომ მედიკამენტებით მომარაგება ქალაქში ცუდად როდი იყო დაყენებული. მაგრამ აღმოჩნდა ხაკლოვანებებიც. აფთიაქს მეორე კვარტალში გამოუგზავნეს 1.000 შუშა ეთერის სითხე, რომლებსაც ყველას გასული ჰქონდა ხმარების ვადა.

საკითხი გავიტანეთ კომისიის სხდომაზე, შეეიმუშავეთ წინადადებები, ეთხოვეთ საავადმყოფოების მთავარ ექიმებს ყაირათიანად ხარჯონ სამკურნალო პრეპარატები.

ყველასათვის ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საექიმო პრაქტიკაში სისხლის გადასხმის საქმის კარგად დაყენებას. დროულად გადასხმული სისხლი ავადმყოფს გარდუვალი დაღუპვისაგან იხსნის. ქალაქის სამკურნალო ქსელში ეს საქმე კარგად ვერ იყო დაყენებული. აღგილობრივ დოხორებთან არაერთარი მუშაობა არ წარმოებდა. ამიტომ მათი რიცხვი უკანასკნელ ხანებში სულ უფრო შემცირდა.

კომისიის წევრებმა დიდი ყურადღება მიაქციეს ამ მეტად საჭირო საქმესაც. შეექმნეთ ექიმთა ჯგუფი სამი კაცის შემადგენლობით, დავავალეთ შეესწავლათ საავადმყოფოების სისხლით მომარაგების საკითხი და წარმოედგინათ თავიანთი წინადადებები. საკითხის გულდასმით შესწავლა-შემოწმებამ ეკმაყოფილა ექიმებს, ეთხოვეთ საავადმყოფოების მთავარ ექიმებს ყაირათიანად ხარჯონ სამკურნალო პრეპარატები.

ამ მხრივ უკვე გადაიდგა პირველი ნაბიჯი. მაგალითად, სამშობიარო სახლის 32 თანამშრომელმა სურვილი გამოთქვა გაერთიანდეს დონორთა ჯგუფში. დონორებიდან 15 კაცს პირველი ჯგუფის სისხლი აქვს. ოთხი დონორიდან უკვე აიღეთ სისხლი და გადავუსხით ავადმყოფს, რითაც ვიხსენით ადამიანის სიცოცხლე.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისია ყურადღებას აქცევს სოფლის დასახლებული უბნების სანიტარული მდგომარეობის შესწავლას, ხელს უწყობს მოსახლეობაში სანიტარულ-საგანმანათლებლო მუშაობის ფართოდ გაშლას. ივნისის პირველ დეკადაში კომისიის ინიციატივით დავაკომპლექტეთ ექიმთა ბრიგადა და მივავლინეთ მაღალმთიან სოფელ ცუცხვათში. ბრიგადამ დეტალურად შეისწავლა სოფლის სანიტარული მდგომარეობა, მოსახლეობაში გამართა საუბრები.

ბრიგადის საქმიანობით ცუცხვათელი კოლმეურნეები კმაყოფილნ დარჩნენ, თავის მხრივაც ისინი ახლა უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ მშობლიური სოფლის სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებას, ყოველდღიურად ზრუნავენ იმისათვის, რომ მისი ყოველი კეთილი მშრომელებს სიამოვნებასა და კმაყოფილებას ანიჭებდეს.

გათვალისწინებული გვაქვს ახლო მომავალში შევისწავლოთ შრომითი საექსპერტო-საექმო კომისიის მუშაობა, პრაქტიკულად დავეხმაროთ მას საქმის უკეთ დაყენებაში.

ის, რაც კომისიამ გააკეთა, საქმის მხოლოდ დასაწყისია. წინ უფრო შინაარსიანი და საინტერესო მუშაობა მოგველის.

დარეჯან როინიშვილი,
ტყიბულის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი.

სურათზე: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფი (მარცხნიდან მარჯვნივ) — მეთამბაქოე ქედის რაიონიდან ა. კეკელიძე, მებოსტნე ვანის რაიონიდან თ. აღეიშვილი, მებოსტნე წყალტუბოს რაიონიდან მ. დოლაბერიძე, ქუთაისის სამკერვალო ფაბრიკის ბრიგადირი ნ. ბილიხეიშვილი, მეჩაიე ხობის რაიონიდან თ. ოკუჯავა, მეჩაიე ტყიბულის რაიონიდან ნ. კვირიკეიშვილი, მეთამბაქოე ხულოს რაიონიდან მ. აბაშიძე, მეჩაიე ბათუმის რაიონიდან ბ. რიმპაძე და ფოთის ქარხანა „ელექტროაპარატის“ ხარატი ნ. ჯედია.

ფოტო შ. ჩხეტიანისა და ვლ. ბინზაბურგისა.

საპატიო საქმე

მიმდინარე წლის მაისში კასპის რაიონული საბჭოს სესიამ განიხილა საკითხი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ, ხოლო ქალაქ კასპის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებაზე იმსჯელა საქართველოს კპ კასპის რაიკომის ბიურომ. ახლა ფართო მუშაობაა გაშლილი მიღებულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის.

გასულ წელს ქალაქ კასპში გაიხსნა ინდივიდუალური დაკვეთით ავეჯის დამამზადებელი საამქრო, ქალისა და მამაკაცის ტანსაცმლის სამკერვალო სახელოსნოები. კარგი საჩუქარი მიიღეს აგრეთვე ავტომოყვარულებმა — საექსპლოატაციოდ გადაეცა ავტოპროფილაქტორიუმი. მუშაობს ტელევიზორების, რადიომიმღებების, საათების, ფეხსაცმლის შემკეთებელი სახელოსნოები. კასპში აშენდა ახალი ბანაო-სამრეცხაო, ხოლო არსებულ ბანაოს გაუკეთდა რემონტი. ამჟამად მუშაობა მიმდინარეობს იმისათვის, რომ ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში იყოს კარგი, კეთილმოწყობილი ბანაო.

მალე ახალი ბანაოები გადაეცემა საექსპლოატაციოდ სოფლებში ქვემო ჭალასა და ზემო ხანდაკში. ბანაოს აშენებენ სამთავისის კოლმეურნეობაშიც.

ხორციელდება ღონისძიებანი იმისათვის, რომ ყველა სახელოსნო მოთავსებულ იქნას კეთილმოწყობილ შენობაში და აღჭურვილი იყოს სათანადო ინვენტარით. ამას წინათ კასპის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატს ქალაქის ცენტრში გადაეცა შენობა. ამჟამად მიმდინარეობს ამ შენობის რეკონსტრუქცია-გაფართოება; აქ მოთავსდება კომბინატის სახელოსნოები.

კასპში ლენინის ქუჩაზე შენდება ახალი 16 სამუშაო ადგილიანი კომბინატი, რომელიც მიმდინარე წლის მესამე კვარტალში უნდა დამთავრდეს. სოფელ ქვემო ჭალაში აშენდება საყოფაცხოვრებო მომსახურების შენობა. აქ გაიხსნება მამაკაცისა და ქალის ტანსაცმლის სამკერვალო სახელოსნოები, ფეხსაცმლის შემკეთებელი სახელოსნო, საპარიკმახერო. საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები. აშენდება აგრეთვე სოფელ მეტეხსა და კავთისხევში.

მოწინავეთა გამოცდილების წარმოებაში დანერგვის მიზნით ამას წინათ მოსკოვში მივლინებული იყო კომბინატის დირექტორი პ. ჯავახაძე. იგი გაეცნო ჩვენი ქვეყნის დედაქალაქის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შუშაკთა გამოცდილებას. ამის შედეგად უკვე ბევრი სიახლე დანერგეს კასპელებმა. რადიომიმღებების, ტელევიზორების, საკერავი მანქანების რემონტს აწარმოებენ არა მარტო სახელოსნოში, არამედ უშუალოდ ბინაზეც.

კომბინატის წინადადებათა წიგნში მომმბარებელთა ბევრ საინტერესო სურვილს წაიკითხავთ. ზოგიერთი დაინერგა კიდევაც წარმოებაში. ბევრმა გამოთქვა სურვილი გახსნილიყო ინდივიდუალური დაკვეთით ფეხსაცმლის შემკერი სახელოსნო, და კი ეს სახელოსნო მუშაობს და უკვე გაითქვა სახელი.

საუკეთესო თაოსნობა განოიჩინა კასპის ავტოსატრანსპორტო კონტორის კოლექტივმა. მან დახმარება გაუწია საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატს — მოუწყო საპარიკმახერო.

კომბინატს კარგ საშეფო დახმარებას უწევენ აგრეთვე კასპის ცემენტის, ელექტროაპარატურის ქარხნები და მეტეხის საშენ მასალათა კომბინატი. ასეთი თანამეგობრობა ნაყოფიერად მოქმედებს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებაზე.

მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია იმ დიდი მუშაობისა, რაც ამ მხრივ უნდა გაკეთდეს.

რაიონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საქმეში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებები. კომბინატის ზოგიერთი სახელოსნო ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მზარდ მოთხოვნებს. ადგილი აქვს ფასების დამახინჯების ფაქტებს. ზოგიერთი ხელოსანი კერძომესაკუთრულ საქმიანობას ეწევა, რაც იმას ცხადყოფს, რომ სუსტია კონტროლი მათდამი.

ნაკლები ყურადღება ექცევა აგრეთვე სოფლად საყოფაცხოვრებო მომსახურების სახელოსნოების გახსნას. სახელოსნოები უმთავრესად მოწყობილია სასოფლო საბჭოების ცენტრში, ხოლო დანარჩენ დიდ სოფლებში ამ მხრივ არაფერია გაკეთებული. ყველა სოფელში, სადაც ამის საშუალება და პირობები არსებობს, უნდა მოვაწყოთ საპარიკმახეროები და ფეხსაცმლის შემკეთებელი სახელოსნო, რომ მშრომელებს ამისათვის არ უხდებოდეთ მეზობელ სოფლებში 4-5 კილომეტრ მანძილზე სიარული.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მოსახლეობის მომსახურება იქ არის უკეთ დაყენებული, სადაც უზრუნველყოფილია მთდამი ყოველდღიური კონტროლი, სადაც მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები ქმედითს დახმარებას უწევენ მათ, ზრუნავენ საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებაზე.

კარგი ინიციატივა გამოიჩინეს კავთისხევის სასოფლო საბჭოს დეპუტატებმა. მათ დააყენეს საკითხი მდინარე კავთურაზე ხიდის აშენების შესახებ, რაც დადებითად გადაწყდა. ხიდის მშენებლობა გათვალისწინებულია დამთავრდეს მიმდინარე წელს.

მისაბაძია სამთავისელ დეპუტატთა საქმიანობაც. ისინი ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ დაამშვენონ თავიანთი საკოლმეურნეო სოფელი. ამჟამად სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ყველა ქუჩის კეთილმოწყობა. დაყარეს ხრეში. აწარმოებენ მის გადასწორებას, წესრიგში მოაყენეს ეზოები, აკეთებენ ლამაზ მესრებს.

ნოსტე რაიონის მშრომელთა საყვარელი სოფელია. ყოველდღიურად მისი სტუმრები არიან ჩვენი კოლმეურნეები, მუშები, მოსამსახურეები. მოდიან რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდანაც, რომ დათვალიერონ ისტორიული ძეგლები. გიორგი საკაძის მშობლიური სოფლის სანახავად მოდიან მოძმე რესპუბლიკებიდანაც. ნოსტელი კოლმეურნეები ამაოებენ ამით და უფრო მეტად ზრუნავენ მის დამშვენებაზე, კეთილმოწყობაზე. აქამდე რაიონის ცენტრიდან მის მეზობელ სოფელ ახალციხემდე იყო კეთილმოწყობილი გზა. მალე ნოსტეს გზაც კეთილმოწყობილი იქნება. მიმდინარეობს აგრეთვე იგოეთლამისყანის, ქვემო გომი-მეტეხისა და სხვა გზების კეთილმოწყობის სამუშაოები.

მშრომელთა საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურება შესაფერის დონეზე — ასეთია ჩვენი ამოცანა.

ი. მუხიგულაშვილი,
კასპის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

ციფრები მეტყველებენ

△ **1964 წელს** მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამუშაოთა მოცულობა რესპუბლიკაში 1962 წელთან შედარებით 6 მილიონზე მეტი მანეთით ანუ 29 პროცენტით გაიზარდა.

△ **1965 წლის** პირველი იანვრისათვის რესპუბლიკაში ითვლებოდა საყოფაცხოვრებო მომსახურების 6.787 ობიექტი ანუ 1.135 ობიექტით მეტი, ვიდრე 1963 წლის 1 იანვრისათვის იყო. მათ შორის მარტო 1964 წელს მწყობრში ჩადგა 568 საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტი.

△ **1963 წლის** დასაწყისში რესპუბლიკაში კეთილმოსახურების მხოლოდ 1 ბიურო მუშაობდა, ამჟამად კი მათი რიცხვი 17-მდე გაიზარდა.

△ 1962 წელს თბილისში აშენდა სამრეცხაო ცვლაში 700 კილოგრამი თეთრეულის წარმადობით. მოსახლეობის მოთხოვნილების უკეთ დაკმაყოფილების მიზნით მიმდინარე წლის აპრილში საექსპლოატაციოდ გადაეცა სამრეცხაო ცვლაში 1,4 ტონა თეთრეულის წარმადობით, ხოლო 1966-67 წლებში თბილისში განზრახულია აშენდეს თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი სამრეცხაო ცვლაში 10 ტონა თეთრეულის წარმადობით.

△ **სახალხო** მეურნეობის განვითარების 1966-1970 წლების გეგმის ძირითად მიმართულებათა პროექტით გათვალისწინებულია რესპუბლიკაში საყოფაცხოვრებო მომსახურების საერთო მოცულობა 1970 წელს გადიდდეს 2,8-ჯერ 1965 წელთან შედარებით.

კეთილი მომსახურება

ამას წინათ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ტერიტორიაზე საექსპლოატაციოდ გადაეცა საერთო-საქარხნო საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი.

კომბინატის ვრცელ დარბაზში ნახავთ ფეგუგატებს, სპეციალურ მანქანებს, ზოგი რეცხს, ზოგი წურავს, აშრობს და აუთოებს.

ერთ-ერთ ოთახში ქალები საკერავ მანქანებს მისხდომიან. აქ რა ხდება? ვინმეს ტანსაცმელს უკერავენ? არა! მუშაობს პროცესში გახეული ტანსაცმელს აღადგენენ.

საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატში 25 კაცი მუშაობს, მაგრამ იმის გამო, რომ ყველაფერი მექანიზებულია, ეს მცირერიცხოვანი კოლექტივი თავისუფლად ასწრებს კლიენტთათვის კეთილი სამსახურის გაწევას.

...მეტალურგებმა იციან, რომ კვირაში ერთ დღეს ქარხანაში გამოცხადდება ქალაქის მოდების ატელიეს წარმომადგენელი, მას თან აქვს მატერიების ნიმუშები. მოწონების შემთხვევაში მუშა იქვე აძლევს დაკვეთას.

კვირაში ერთხელ ქარხანაში „რუსთავკომობის“ მუშაკებიც მიდიან. მათ მიაქვთ სამრეწველო საკონლის ნიმუშები, აჩვენებენ მეტალურგებს, და თუ მსურველი აღმოჩნდება, ფორმდება განადგურების შესაფიდვის ხელშეკრულება.

მეტალურგიული ქარხნის ახლოს ახლახან გაიხსნა კეთილი მომსახურების ბიურო. აქ უნდა დარეკოთ ნომერი — 24-24. ამ ტელეფონის ყურმილში ისმის ასეთი საუბარი:

— რა მაცივარი შეგიძლიათ მათხოვოთ?

— „დნეპრი“ ან „ზილი“.

— შეიძლება თქვენთან ტელევიზორიც შევკეთოთ?

— რატომაც არა, მოიტანეთ.

— მტვერსასრუტი მანქანა მინდოდა, თუ გექნებათ.

— სიამოვნებით, ინებეთ.

მეტალურგები, ქალაქის მცხოვრებლები კმაყოფილი არიან კეთილი მომსახურების ამ ახალი ორგანიზაციის შექმნით: ხელმისაწვდომ ფასებში მართლაც რომ ყეთილი მომსახურება ეწევათ მცხოვრებთ. როცა მეტალურგების კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის დიდი მუშაობა, რაც გასწია ქარხნის ხელმძღვანელობამ საამქროების მუშათა სასადილოების რეკონსტრუქციაზე. მარტო მარტენის საამქროს სასადილოს რეკონსტრუქცია 25.000 მანეთი დაჯდა. ახლა მიმდინარეობს კოტსქიმიური და საგლინავი საამქროების სასადილოების რეკონსტრუქცია. ეს სასადილოები არა მარტო ქარხანაში იქნება სანიმუშო, არამედ მთელ ქალაქში.

შესანიშნავად მოეწყო ამ ბოლო ხანებში მეტალურგების ბანაოების მუშაობა. თითქმის ყველა ბანაოს გაუკეთდა რეკონსტრუქცია. ახლო მომავალში გათვალისწინებულია ბანაოებთან ქალთა ჰიგიენური კაბინეტების მოწყობა.

და განა მარტო ეს.

ინახულეთ მასიკი. ყველგან ნახავთ თხრილებს, დაზიანებულ ადგილებს, წაყენდებით სრული უყურადღებობის ფაქტებს. დროა ამას ერთხელ და სამუდამოდ მოეღოს ბოლო. ნუ ვამახინჯებთ ლამაზ დასახლებებს, ნუ ვაღელვებთ მოსახლეებს. შევუქმნათ მათ ცხოვრების ნორმალური პირობები. ამიტომ იმედი გვაქვს ქალაქის საბჭო გამოჰყოფს კომისიას, რომელიც არა მარტო შეიამოწმებს გზების მდგომარეობას, არამედ ადგილზევე მიიღებს ზომებს დაზიანებული ასფალტის აღსადგენად, და შემდგომში არავის მისცემს უფლებას თვითნებურად, დანაშაულებრივად მოექცეს გზებს, რის კვლავ შეკეთებაზე სახელმწიფოს დიდი თანხები იხარჯება.

ქალაქის საბჭოს აღმასკომმა ვაჟაფშაველას პროსპექტის VI კვარტალის № 1 ბ და მოსკოვის პროსპექტის IV კვარტალის № 2 კორპუსების მშენებლობისადმი სუსტი ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელებისათვის კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს უფროსს ბ. მიქაბერიძეს და ინჟინერ ს. მაჭავარიანს გამოუცხადა საყვედური. არქიტექტურულ-სამშენებლო კონტროლის ინსპექციის უფროსს პ. ბელეშაძეს და კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს უფროსს ვ. ჯაფარიძეს წინადადება მიეცით საექსპლოატაციოდ არ მიიღონ ობიექტები, სანამ მიმღები კომისიის მიერ გამოვლინებული დეფექტები მთლიანად არ იქნება გამოსწორებული.

რეიდის მონაწილეთა წერილში ლაპარაკი იყო იმაზე, რომ ვაჟა-ფშაველას პროსპექტის VI კვარტალის № 1 ბ კორპუსის პირველი სადარბაზოს მობინადრეებს არ ჰქონდათ გათბობა, ეს დაიწერა 25 მარტს, როცა ჯერ კიდევ საკმაოდ ცივდა. სამწუხაროდ, „კავსანტეხმონტაჟის“ სამმართველოს უფროსმა ბ. გოლუბკოვმა რატომღაც არაფრად ჩათვალა რეიდის მონაწილეთა სამართლიანი საყვედური და არ მიიღო ზომები თბოგაყვანილობის წესრიგში მოსაყვანად. ეს ნიშნავს მოსახლეობის სამართლიან მოთხოვნათა უგულებელყოფას, საქმისადმი უსულგულო დამოკიდებულებას!

ხალხის კეთილდღეობისადმი ზრუნვა ჩვენი პარტიის უპირველესი საქმეა და არავის არა აქვს უფლება აბუჩად აიგდოს ხალხის მოთხოვნა.

სოფლის სიხარული

დიდი ხანია მოუთმენლად ელოდნენ გორის რაიონის სოფელ კარალეთის მცხოვრებნი სასოფლო კლუბს. და აი იგი უკვე გადასცეს საექსპლოატაციოდ. კლუბი 500-მდე მაყურებელს იტევს, იგი კეთილმოწყობილია და მთლიანად აკმაყოფილებს დღევანდელ მოთხოვნილებებს.

სოფლის ახალგაზრდობამ იზრუნა კლუბის ეზოსა და მიდამოების გაჯვანებისა და გალამაზებისათვის. გარშემო მდებარე ფერდობებზე ასობით ძირი ხე და ბუჩქი დარგეს.

კლუბში უკვე გაიშალა კულტურულ-მასობრივი მუშაობა. იგი ახალგაზრდობის დასვენებისა და გართობის საყვარელი ადგილი გახდა.

გ. ზაალიშვილი.

საექსკურსიო ბიურო

ბორჯომი. (საკ. კორ.). აქ დამსვენებლებს გარდა ათასობით ტურისტი ჩამოდის. წელს ტურისტთა და დამსვენებელთა უკეთ მომსახურებისათვის ბორჯომში შეიქმნა და მუშაობას შეუდგა საექსკურსიო ბიურო. ბიუროს წევრები დიდი ამოცანების წინაშე დგანან. ისინი წელს 30 ათასამდე დამსვენებელს უნდა მოემსახურონ. ექსკურსიამძღოლების რიცხვი საჭიროების მიხედვით გაიზრდება.

გარდა ჩამოსული სტუმრებისა ბიურო მომსახურებას გაუწევს ადგილობრივი ქარხნების, კოლმეურნეობების და დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეებს.

საექსკურსიო ბიუროს მეტად მნიშვნელოვანი მარშრუტები შეიმუშავა. ექსკურსიამძღოლები მსურველებს დათვალიერებინებენ როგორც ბორჯომის შემოგარენს, ისე ჩვენი რესპუბლიკის სხვა ადგილებს — თბილისის, რუსთავის, ქუთაისის, ბათუმის, ვარძიის და სხვ. ღირსშესანიშნაობებს.

სკოლა და ოჯახი

მშობლები უნდა დაფიქრდნენ ამაზე

განვამტკიცოთ კავშირი სკოლასა და ოჯახს შორის — ასეთი იყო თემა .რკინიგზის ხაშურის კვანძის სოლელების მშობელთა შეკრებისა, რომელიც ამას წინათ მოაწყო ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს სასწავლებელთა განყოფილებამ. შეკრებას მშობლების გარდა ესწრებოდნენ: რაიონის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს პასუხისმგებელი მუშაკები, სოლელების დირექტორები, პედაგოგები, რაიონის ინტელიგენციის წარმომადგენლები.

მშობლთა შეკრება შესავალი სიტყვით გახსნა ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს სასწავლებელთა განყოფილების უფროსმა დ. ბალანჩიკაძემ.

აღზრდასთან დაკავშირებით გაწეული მუშაობისა და ამ საქმეში ჯერ კიდევ არსებული ხარვეზების შესახებ ილაპარაკეს მომხსენებელმა, ა/კ რკინიგზის სამმართველოს სასწავლებელთა განყოფილების უფროსის მოადგილემ თ. ქრისტინაშვილმა და კამათში გამოსულებმა—სკოლების დირექტორებმა, პიონერხელმძღვანელებმა, მშობლებმა.

მათი აზრით განსაკუთრებით შეუნელებელი უურადღებას მოითხოვს მოზარდთა აღზრდა. ეს უნდა გახდეს მთავარ საზრუნავად ოჯახის, სკოლის ცხოვრებაში, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მთელი საზოგადოებრივობის საქმიანობაში.

მათ ხაზი გაუსვეს დიდ მნიშვნელობას, რაც ენიჭება სკოლის, ოჯახისა და საზოგადოებრივობის ერთობლივ მოქმედებას ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში.

მიუხედავად მიღებული ღონისძიებებისა, ამბობდნენ ისინი, ზოგი მოსწავლე შეუფერებელ საქციელს სჩადის, არღვევს სკოლის რეჟიმს, უხეშად ეპყრობა მასწავლებლებს, ცუდად იქცევა ქუჩაში. სამწუხაროდ, ამ მდგომარეობას ზოგიერთი მშობელი ურიგდება, ხშირად არც კი იცის, როგორ სწავლობს მისი შვილი, იშვიათად დადის სკოლაში, არ იცნობს მასწავლებლებს.

შეკრებაზე გამოითქვა ის აზრი, რომ თუ აღზრდელობითი ზომები მიზანს ვერ აღწევს, თუ მოზარდები ბოროტად არღვევენ საზოგადოებრივ წესრიგს, ხულიგნობენ, ისინი უნდა დაისაჯონ.

უნდა დაწესდეს დასჯა მშობლებისათვის, რომლებიც წესიერად არა ზრდიან შვილებს. თუ უღირს მშობლებს მშობლის უფლება ჩამორთმეული აქვთ და მათს შვილებს სიბავშვო დაწესებულება ზრდის, ასეთ მშობლებს უნდა დაექვითოთ ბავშვის შენახვის ხარჯები ნაწილობრივ მაინც.

ორატორებმა მკაცრად ილაპარაკეს იმ მშობლებზე, რომლებიც არამარტო შვილებისადმი უყურადღებობას იჩენენ, არამედ თვითონაც სჩადიან დანაშაულს, ლოთობენ, ანგრევენ ოჯახს...

თვითეული გამომსვლელის სიტყვას მთავარ ხაზად გასდევდა ის აზრი, რომ მშობლები უნდა დაფიქრდნენ იმაზე, თუ როგორ მომავალ თაობას უზრდიან დედა-მამობლოს, მათ უნდა იცოდნენ, როგორ ატარებენ შვილები თავისუფალ დროს, რა მიზნები, რა მისწრაფებები ამოძრავებთ. მშობლებმა უნდა აგონ პასუხი შვილების ყოველ ნინდაუზედავ ნაბიჯზე, მოუფიდებელი მსჯელობის საგნად უნდა იქცეს იმ მშობლთა საკითხი, რომლებიც ურიგდებიან შვილების აკადემიურ ჩამორჩენას, მოსწავლეთათვის შეუფერებელ ჩაცმულობას და საქციელს, მომავალი თაობის აღზრდისათვის, ამბობდნენ ორატორები, ერთნაირად პასუხისმგებელი არიან როგორც მშობლები, ისე მასწავლებლები.

ხაშურის კვანძის მშობელთა კრებამ მიიღო მიმართვა ამიერკავკასიის რკინიგზის სკოლების მასწავლეთა ყველა მშობლებისადმი. შეკრებაზე მოწონავე მშობლები დაჯილდოებულ იქნენ სიგელებით.

სწორედ თათბირის მონაწილეთა გულისხმქმას ეხმაურება გაზეთ „კომუნისტის“ 17 ივნისის ნომერში გამოქვეყნებული სარედაქციო სტატია — — „ჰუმანიზმი ცრუ და ჭეშმარიტი“. იგი დიდად დამაფიქრებელი წერილია და მშობლებს, პედაგოგებს, მთელ ჩვენს საზოგადოებრიობას დიდი პასუხისმგებლობის წინაშე აყენებს. ეს სტატია ფართო განხილვის საგანი უნდა გახდეს, შეიქმნას ერთიანი ნაზოგადოებრივი აზრი, რომ დამნაშავეს ფეხქვეშ მიწა იწვოდეს.

მშობლებსა და პედაგოგებს პროკურატურასა და სხვა სავალმოსმენელო ორგანოებში თავდებობის ბოვნა არ უნდა ეუხდებოდეთ. მათ წინასწარ უნდა მიიღონ ზომები, რომ ახალგაზრდის საქმე არ მიეიდეს ამ დიდ უბედურებამდე. ერთგვარი პედაგოგიური პროფილაქტიკაა საჭირო, რათა დღევანდელი ჩვენი ახალგაზრდეობა, მოსწავლეები ხვალინდელი ბოროტმოქმედი არ აღზარდონ. ჭეშმარიტი ჰუმანიზმი ითვალისწინებს არა დამნაშავისათვის ხელის გადასმას, არამედ პატიოსანი, კეთილშობილური მოქალაქის აღზრდას.

ა. თათარიშვილი.
საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

ეს ანუხებთ, ეს აღელვებთ ახალციხელებს

გამოხმაურება კომენტარებით

ჩვენი გაზეთის 25 მარტის ნომერში დაიბეჭდა რეიდის მონაწილეთა წერილი სათაურით — „ეს აწუხებთ, ეს აღელვებთ ახალციხელებს“.

რეიდის მონაწილეებმა ამხილეს ბინათმშენებლობაში არსებული ნაკლოვანებები, მიუთითეს საცხოვრებელი ბინების საექსპლოატაციოდ გადაცემისას ზოგიერთი სამუშაოს მოუთავებლობაზე, კორპუსებიდან კორპუსებში მისასვლელი უხერხო გზებზე, უამრავ თხრილსა და დაზიანებულ ასფალტზე, ლიფტების უმოქმედობაზე და სხვა ნაკლოვანებებზე.

წერილის გამოქვეყნების შემდეგ რედაქციამ მობინადრეებისაგან მრავალი გამოხმაურება მიიღო. ისინი თავიანთ წერილებში იწონებენ გაზეთის ამ ნაბიჯს, გულისწყრომას გამოთქვამენ სამშენებლო ორგანიზაციების მიმართ, რომელთა დაუდევრობითა და უყურადღებობით უხდებათ თანხების გაღება იმ სამუშაოებში, რის შესრულებისათვის აც პასუხისმგებლები არიან თვით მშენებლები.

გაზეთში გამოქვეყნებულ წერილში მოყვანილი ფაქტების შესასწავლად და ზომების მისაღებად თბილისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა გამოიყო სპეციალური კომისია, 26 მაისს საკითხი განიხილა აღმასკომის სხდომაზე და მიიღო სპეციალური დადგენილება.

ამ დადგენილებაში ვკითხულობთ:

„ქალაქის საბჭოს აღმასკომის ა. წ. 31 მარტის № 760-ბ. განკარგულებით გამოყოფილი კ

საერთაშორისო ცხოვრება

საოცარი გარდაქმნები

ოტავა, 16 ივნისი. (საკდესი). საბჭოთა კავშირმა უდიდეს წარმატებებს მიაღწია ციმბირის არქტიკული რაიონების ათვისებაში, ნამდვილად საოცარია ის ეკონომიური გარდაქმნები, რომლებიც ახლა ხდება ამ მკაცრ მხარეში, განაცხადა გუშინ გამართულ პრეს-კონფერენციაზე კანადის ჩრდილოეთი ტერიტორიებისა და ეროვნული რესურსების საქმეთა მინისტრმა არტურ ლენგმა, რომელიც ამ დღეებში დაბრუნდა საბჭოთა კავშირში მოგზაურობიდან. ციმბირი, ხაზგასმით აღნიშნა ლენგმა, უკვე აღარ არის ის ჩამორჩენილი და დაუსახლებელი მხარე, როგორიც დასავლეთში ჰგონიათ. მისი ეკონომიკა ვითარდება სწრაფი ტემპით, იქ მუშაობს მრავალი ათასი ნიჭიერი სპეციალისტი, აშენებულია დიდი თანამედროვე ქალაქები და სამრეწველო საწარმოები, რომლებიც შურს აღგიძრავენ. უდიდესი ყურადღება, რომელიც ეთმობა ციმბირისა და მისი არქტიკული რაიონების განვითარებას, — აღნიშნა შემდეგ ლენგმა, — მეტყველებს, რომ საბჭოთა მთავრობას მშვენივრად ესმის თავისი შორეული აღმოსავლეთის ეკონომიური პერსპექტიულობა. საბოლოოდ, განაცხადა კანადის მინისტრმა, ციმბირის ზღაპრული ბუნებრივი რესურსების განვითარებას კაცობრიობისათვის ნაკლები მნიშვნელობა როდი ექნება, ვიდრე აფრიკის მთელი კონტინენტის ეკონომიურ აღორძინებას.

არტურ ლენგი მეთაურობდა კანადელ სპეციალისტთა დელეგაციას, რომლებიც მუშაობენ ჩრდილოეთის ათვისების დარგში. დელეგაცია საბჭოთა კავშირში იმყოფებოდა დაახლოებით ორ კვირას, გაეცნო ჩრდილოეთი რაიონების განვითარების მეთოდებს.

◆

კომუნისტების წარმატება

რომი. (საკდესი). იტალიის უდიდესმა ბურუჟაზიულმა პარტიამ — ქრისტიანულ-დემოკრატიულმა პარტიამ სერიოზული მარცხი განიცადა სარდინიის საოლქო საბჭოს არჩევნებში. მან საბჭოში დაკარგა აბსოლუტური უმრავლესობა, რომელიც ჰქონდა მთელი ომისშემდგომი წლების განმავლობაში. მმართველმა პარტიამ 72 ადგილიდან მიიღო 35 ადგილი, ნაცვლად 37 ადგილისა, რაც წინა არჩევნებში ჰქონდა. კომუნისტებმა წარმატება მოიპოვეს. მათ მიიღეს 15 ადგილი (წინა არჩევნებში ჰქონდათ 14 ადგილი). სოციალისტებმა დაიკავეს 5 ადგილი (დაკარგეს ორი ადგილი).

ქრისტიან-დემოკრატების დამარცხებითა და კომუნისტთა წარმატებით ხასიათდება პროვინციული საბჭოების არჩევნებიც, რომლებიც მიმდინარეობდა 13 ივნისს როვიგოსა და გორიციის პროვინციებში. როვიგოს პროვინციული საბჭოს ახალ შემადგენლობაში კომუნისტებს ერთი, ადგილით უფრო მეტი ექნებათ, ვიდრე წინა არჩევნების დროს.

გაიმართა აგრეთვე მთელი რიგი ქალაქების მუნიციპალიტეტების არჩევნები. ერთ-ერთ უდიდეს ქალაქ კრემონში იტალიის კომუნისტურმა პარტიამ მოიპოვა კიდევ ორი ადგილი. ქრისტიან-დემოკრატებმა დაკარგეს ერთი ადგილი, სოციალისტებმა — ოთხი.

ინდოეთ-ჩინეთის საზღვარი

პარიზი, 17 ივნისი. საკდესის კორესპონდენტი ლუიუნი: აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობა, დასავლეთის ბლოკის ქვეყნების ურთიერთობის, განსაკუთრებით საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის პრობლემები, „ევროპის მშვენებლობის“ საკითხები — ყველა ეს პრობლემა იმ კამათის ყურადღების ცენტრშია, რომელიც გუშინ დაიწყო საფრანგეთის ეროვნულ კრებაში საგარეო პოლიტიკის გამო.

კამათს ტონი მისცა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კუე დე მიურვილმა, რომელმაც ერთსაათიანი სიტყვა წარმოთქვა. ევროპის, ისევე როგორც გერმანიის მოწესრიგებით, თქვა მან, იგულისხმება ევროპის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილების შეთანხმება. მინისტრმა აღნიშნა, რომ საჭიროა „ძირეულად გარდაიქმნას ევროპის კონტინენტის ამა თუ იმ ნაწილის ყველა ქვეყნის ურთიერთობა“, რის შედეგად „ახლად მიღწეული წონასწორობის საფუძველზე დამყარდებოდა ისეთი ურთიერთობა ატლანტიკიდან ურალამდე, რომელსაც შეიძლება ეფუნდოთ ნორმალური და მშვიდობიანი“.

მხოლოდ ასეთ ვითარებაში, ხაზი გაუსვა კუე დე მიურვილმა, შესაძლებელია გერმახიის პრობლემის რეალისტური და მყარი გადაჭრა, ურომლისოდაც ევროპაში არასოდეს არ იქნება მტკიცე მშვიდობის პირობები. ამასთან მინისტრმა აღნიშნა, რომ საფრანგეთის ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან და აღმოსავლეთის ქვეყნებთან „ნამდვილად ედება საფუძვლად ნდობა“. აუცილებელ ნორმებად, რომლებიც უნდა დაიცვან საერთაშორისო ურთიერთობაში, მინისტრმა მიაჩნია შემწყნარებლობა, სხვა ქვეყნების სამშინაო საქმეებში ჩაურევლობა, ხელის აღება იმაზე, რომ საერთაშორისო ურთიერთობა დამოკიდებული იყოს პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური რეჟიმებიდან გამომდინარე კრიტერიუმებზე.

კუე დე მიურვილმა აღნიშნა, რომ არასოდეს არ იდგა საკითხი „ამერიკის შეერთებული შტატები ჩამოგვშორებია ევროპის ან გერმანიის საკითხის მოწესრიგებას. საკითხი სხვაა. იგი ეხება „ურთიერთობას, რომელიც ეხება ეროვნული პოლიტიკის შესახებ, რომელსაც საფუძვლად უდევს სამხედრო ძლიერება. კერძოდ, მან თქვა, რომ თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის განუწყვეტელი განვითარება საფრანგეთს ითხოვს „ორმა გარდაქმნათა დიდ ნაკადში“, რომლებიც საჭიროა მისი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობისათვის. „ჩვენი ადმინისტრაციის წინაშე,—განაგრძო მან,— როგორც ეროვნული, ისე ადგილობრივი ადმინისტრაციის წინაშე განუწყვეტლივ ისახება ახალი პრობლემები. ჩვენი არმია განუწყვეტლივ უნდა მარაგდებოდეს სულ უფრო თანამედროვე იარაღით, თორემ იგი დაკარგავს ჩვენი დაცვის უნარს“.

შეეხო რა საერთაშორისო პრობლემებს, დე გოლმა მოითხოვა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა გაერთიანება.

●

ჩამოაგდეს კიდევ სამი თვითმფრინავი

ვიენტიანი, 16 ივნისი. (საკდესი). პატეტ-ლაოს შეიარაღებული ძალების უმაღლესი სარდლობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პატეტ-ლაოს საჰაერო თავდაცვის ნაწილებმა გუშინ ჩამოაგდეს ამერიკის სამი თვითმფრინავი, რომლებიც ბომბავდნენ მშვიდობიან დასახლებულ პუნქტებს სამ-ნეას რაიონში.

გასული წლის მაისიდან მიმდინარე წლის 15 ივნისამდე პატეტ-ლაოს შეიარაღებულმა ძალებმა ჩამოაგდეს და სეროზულად დააზიანეს ამერიკის 108 თვითმფრინავი.

ფიცი მწამს, გოლო მაკვირვებს

ვინ წარმართავს სისხლისღვრას სანტო-დომინგოში? — ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ვაშინგტონი ყოველნაირად არიდებს თავს. ამერიკის შეერთებულ შტატებს სურთ სამე რი წარმოსახონ, თითქოს მათ სრულებითაც არ ეხებოდეთ ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის „ამერიკათშორისი ძალების“ გაგზავნა დომინგოს რესპუბლიკაში. მაგრამ საკმარისია ამ სურათს დახედოთ, რომ მაშინვე მიხვდეთ მათს იაფფასიან თალწითობას — „ამერიკათშორისი ძალების“ ჰონდურასის ქვეგანაყოფს ინსტრუქციას უწევს აშშ-ის შეიარაღებული ძალების სერჟანტი. რას ასწავლის იგი ჰონდურასელებს? მხოლოდ იმას, რასაც თვითონ მას უბრძანებს პენტაგონი — „ არ დაინდო, მოჰკალ აჯანყებული“.

ბულგარელ მეზღვაურებთან

სოფია. საბჭოთა კოსმონავტები პ. ბელიაევი და ა. ლეონოვი ესტუმრნენ ვარნის ნიკოლა ვაკაროვის სახელობის სამხედრო-საზღვაო სასწავლებელს. ბულგარელმა მეზღვაურებმა უდიდესი ინტერესით მოუსმინეს კოსმოსის გმირებს, რომლებმაც უამბეს, თუ როგორ მომზადდა და განხორციელდა კოსმოსური ხომალდ „ვოსხოდ-2“-ის გაფრენა. ძმური მეგობრობის ნიშნად კურსანტებმა საბჭოთა სტუმრებს აჩუქეს განთქმული მეზღვაური პოეტის ნ. ვაკაროვის ბრინჯაოს ბიუსტი.

სოციალიზმის მონაპოვართა საღარაჯოზე

ბულგარეთი. რუმინეთის პარტია და მთავრობა, რომელთა ზრუნვის ცენტრშია სოციალისტური საზოგადოებრიობის უოველმხრივ განვითარება, ამავე დროს განსაკუთრებით დიდი უურადღებით ეკიდებიან რუმინეთის თავდაცვისუნარიანობის შემდგომ განმტკიცებას. ეს განაცხადა რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ჩაუშესკუმ, რომელმაც სიტყვა წარმოთქვა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების პარტიული აქტივის კრებაზე. შეგვიძლია ვთქვათ, განაგრძო მან, რომ ჩვენს არმიას ამუამად აქვს ისეთი სახრბილო ტექნიკა, რომელიც საშუალებას აძლევს ყოველ წუთს შეასრულოს თავისი მისია.

თქვენ განუწყვეტელად უნდა აიმაღლოთ სახრძოლო მომზადების დონე და მზად იყოთ მოძმე სოციალისტური ქვეყნების არმიებთან ერთად შეიტანოთ წვლილი მშვიდობისა და სოციალიზმის დაცვის საქმეში, ყველა აგრესორის განადგურებაში.

ნ. ჩაუშესკუმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუმინელი ხალხი სრულ სოლიდარობას უცხადებს ვიეტნამელ ხალხს, თქვა, რომ რუმინეთი მხარს უჭერს და კვლავაც დუჭერს მხარს ვიეტნამელ ხალხს მის დემოკრატიულ ოფიციალურ ბრძოლაში.

რუმინეთის მუშათა — პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ჩაუშესკუმ, რომელმაც სიტყვა წარმოთქვა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების პარტიული აქტივის კრებაზე. შეგვიძლია ვთქვათ, განაგრძო მან, რომ ჩვენს არმიას ამუამად აქვს ისეთი სახრძოლო ტექნიკა, რომელიც საშუალებას აძლევს ყოველ წუთს შეასრულოს თავისი მისია.

თქვენ განუწყვეტელად უნდა აიმაღლოთ სახრძოლო მომზადების დონე და მზად იყოთ მოძმე სოციალისტური ქვეყნების არმიებთან ერთად შეიტანოთ წვლილი მშვიდობისა და სოციალიზმის დაცვის საქმეში, ყველა აგრესორის განადგურებაში.

ნ. ჩაუშესკუმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუმინელი ხალხი სრულ სოლიდარობას უცხადებს ვიეტნამელ ხალხს,

გამოფენა სოფიაში

სოფია. ბულგარეთის დედაქალაქში გაიხსნა გამოფენა, რომელიც მიეძღვნა ტიპობრივ დაპროექტებას ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებში. გამოფენის ექსპონატები ასახავენ სოციალისტური ქვეყნების მიღწევებს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ნაგებობების, საცხოვრებელი სახლების დაპროექტებისა და მშენებლობის დარგში, აგრეთვე დაპროექტების ტექნიკის უახლეს მეთოდებს.

არქიტექტორთა ყრილობა

ვარშავა. აქ მუშაობა დაიწყო პოლონეთის არქიტექტორთა კავშირის ყრილობამ. ყრილობის მონაწილენი განიხილავენ მოხსენებას რესპუბლიკის ქალაქმშენებელთა საქმიანობის როლის, ამოცანებისა და მიმართულების შესახებ.

დე გოლის გამოსვლა

პარიზი, 16 ივნისი. (საკდესი). პრეზიდენტმა დე გოლმა, რომელიც კვლავ მოგზაურობს საფრანგეთის დეპარტამენტებში, სიტყვა წარმოთქვა სენ-ეტერმენ-ლეში (პარიზის მახლობლად). მან კვლავ გაიმეორა თავისი იდეები ეროვნული პოლიტიკის შესახებ, რომელსაც საფუძვლად უდევს სამხედრო ძლიერება. კერძოდ, მან თქვა, რომ თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის განუწყვეტელი განვითარება საფრანგეთს ითხოვს „ორმა გარდაქმნათა დიდ ნაკადში“, რომლებიც საჭიროა მისი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობისათვის. „ჩვენი ადმინისტრაციის წინაშე,—განაგრძო მან,— როგორც ეროვნული, ისე ადგილობრივი ადმინისტრაციის წინაშე განუწყვეტლივ ისახება ახალი პრობლემები. ჩვენი არმია განუწყვეტლივ უნდა მარაგდებოდეს სულ უფრო თანამედროვე იარაღით, თორემ იგი დაკარგავს ჩვენი დაცვის უნარს“.

შეეხო რა საერთაშორისო პრობლემებს, დე გოლმა მოითხოვა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა გაერთიანება.

ბულგარელ მეზღვაურებთან

სოფია. საბჭოთა კოსმონავტები პ. ბელიაევი და ა. ლეონოვი ესტუმრნენ ვარნის ნიკოლა ვაკაროვის სახელობის სამხედრო-საზღვაო სასწავლებელს. ბულგარელმა მეზღვაურებმა უდიდესი ინტერესით მოუსმინეს კოსმოსის გმირებს, რომლებმაც უამბეს, თუ როგორ მომზადდა და განხორციელდა კოსმოსური ხომალდ „ვოსხოდ-2“-ის გაფრენა. ძმური მეგობრობის ნიშნად კურსანტებმა საბჭოთა სტუმრებს აჩუქეს განთქმული მეზღვაური პოეტის ნ. ვაკაროვის ბრინჯაოს ბიუსტი.

... ტუნისის ყოველკვირეულმა „ქენ აფრიკამ“ თავის უკანასკნელ ნომერში გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც რედაქცია უცილობელი ფაქტებისა და დოკუმენტების დახმარებით ამხილებს ჩომბეს როგორც პატრის ლუმუმბას და მისი ამხანაგების მკვლელს. ახალი ამბების სააგენტო აქვეყნებს ამ სტატიის შემოკლებულ თარგმანს.

◇ ◇

ბოლა გადაცილებული იყო 18 საათს, როცა კომპანია „ერ კონგოს“ კუთვნილი თვითმფრინავი „დს-4“, რომელსაც პილოტობდა ბელგიელი, სახელად ბაუენსი, რადიოთი დაუკავშირდა კატანგის დედაქალაქის აეროდრომის საკომანდო პუნქტს. პილოტი რადიოთი გადასცემდა: „ელიზაბეტვილ, ელიზაბეტვილ! თქვენთვის ძვირფასი ტვირთი მოგვაქვს!“

„დს-4“ თვითმფრინავზე იმყოფებოდნენ პატრის ლუმუმბა, ჟოზეფ იკიტო და მორის მპოლო.

„კატანგის სახელმწიფოს“ შინაგან საქმეთა მინისტრი გოდფრუა მუონგო იმ მომენტში ელიზაბეტვილის აეროდრომზე იმყოფებოდა. იგი გახარებული იყო. მუონგო მიუბრუნდა დაქირავებული ჯარების კაპიტანს ბელგიელ ანდრე პროტენს, რომელიც მას ახლდა, და უთხრა: „ამჯერად ხელიდან ვეღარ დაგვისხლტებიან“. კაპიტანი პროტენი იმ დროს იყო უფროსი მიტვანის სექტორისა, რომელიც ელიზაბეტვილის ჩრდილო-აღმოსავლეთით 460 კილომეტრზე მდებარეობდა, მაგრამ სრულებითაც არ იყო გასაკვირველი, რომ იგი კატანგის დედაქალაქში იმყოფებოდა, როცა სამარი ოპერაციები არ იყო, დაქირავებულ თეთრკანიან ოფიცრებს, თუ უნდოდათ, შეეძლოთ ელიზაბეტვილში ჩამოსულიყვნენ. სპილენძის დამუშავებელი კომპანიის კუთვნილი სასტუმროები „ლეოპოლდ-2“, „ბრიუსელი“, „კატანგა“ მათ თ.ვიანთთან აძლევდნენ ბინას, ხოლო დაქირავებულთა ცხოვრების საფასურის ანგარიშებს ჩომბეს კანცელარიაში გზავნიდნენ.

1961 წლის 17 იანვარს ნაშუადღევს „კატანგის სახელმწიფოს“ პრეზიდენტი თავის რეზიდენციაში არ იმყოფებოდა ელისაბედის ბულვარზე. იგი ესწრებოდა „მორალური ხელახლა შეიარაღების“ სახმსახურის მუშაკების მიერ გაკეთებული ფილმის „თავისუფლების“ გასინჯვას. გაისმა ტელეფონის ზარი. ვიღაც დაუნინებით ითხოვდა, რომ ტელეფონთან ჩომბე მისულიყო. ვინ გამოუძახა მაშინ კატანგის პრეზიდენტს ტელეფონით? დაკითხვისას, რომელიც ლეოპოლდვილში დაპატიმრების შემდეგ შედგა, ჩომბემ განაცხადა ძუონგომ დამირეკო. ორწლინახევრის შემდეგ, 1964 წლის 31 იანვარს ბელგიის ყოველკვირეულ „პუროკუა პას“ მიერ გამოქვეყნებულ ინტერვიუში ჩომბემ თქვა, რომ იმ მომენტში მას ლეოპოლდვილიდან ურეკავდა კონგოს თვით პრეზიდენტი კასავუბუ.

იმ დროს, როცა ჩომბე ბრუნდებოდა ოტელ-პალასის დარბაზში, რომ ფილმის დასასრული ენახა, თვითმფრინავი, რომელზეც ლუმუმბა და მისი ამხანაგები იუვნენ, ძირს დასაშვებად ემზადებოდა. მუონგომ და კაპიტანმა პროტენმა დატოვეს აეროდრომის საკომანდო პუნქტი და სასაშვები ზოლისაკენ წავიდნენ. იქ მათ უკვე ელოდა ვინმე სპეკ პიუსი, კატანგის უანდარმერიის მთავარი კომისარი, და რვა სამხედრო მოსამსახურე სამხედრო პოლიციის პირველი ასეულისა, რომელიც კოლვეზიდან იყო გამოწვეული. მათ შორის იუვნენ ასეულის მეთაური კაპიტანი უულიენ გატი, მისი თანაშემწე ლეიტენანტი მიშელი, უმცროსი ლეიტენანტი როეე ლევა, რომელსაც ადმინისტრაციული საქმეები ებარა. უკანასკნელი ცხრანახევარ წელიწადს მსახურობდა უშიშროების ჯარებში, რომლებიც კატანგაში კოლონიზატორებმა შექმნეს. იქ იყო ავრეთვე რუშეფორი, ასეულის ოცეულის მეთაური. ოთხი დანარჩენის სახელები ჩვენთვის უცნობია. მაგრამ კარგად ვიცით, რომ უველანი ბელგიური ეროვნების დაქირავებულები არიან. რვავე ელოდა თვითმფრინავს აეროდრომის ასაფრენ ზოლზე. მათ გარდა აქ იუვნენ ავრეთვე კატანგელ უანდარმთა ჯგუფი და რამდენიმე ცნობისმოყვარე.

თვითმფრინავმა გაირბინა ზოლი და გაჩერდა.

ჩვენ გვაქვს ორი დამადასტურებელი საბუთი იმისა, თუ რა მოხდა შემდეგ აეროდრომზე. პირველია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებულ ძალთა უნტერ-ოფიცრის შვედ ლინდგრენის განცხადება. მაშინ ის ელიზაბეტვილის აეროდრომზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების დაცვის ჯგუფის მეთაური იყო. თავის პატაკში, რომელიც შემდეგ ლუმუმბასის საკვლევის გამოკვლევამ კომისიამ მოხსენებაში მოიყვანა (ეს მოხსენება გამოქვეყნდა 1961 წლის 11 ნოემბერს), ლინდგრენი ასე აღწერს იმას, რაც აეროდრომზე მოხდა მაშინ, 17 იანვარს:

„კომპანია „ერ კონგოს“ თვითმფრინავი „დს-4“ აეროდრომზე დაშვებისთანავე მიადგა კატანგის სამხედრო ავიაციის ანგარს. ეს ანგარი მდებარეობდა ზონაში, რომლის გასინჯვა არ შედიოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ასეულის პატრულების ფუნქციაში. თვითმფრინავს მაშინვე შემოეხვივნენ ჯაშნიანი მანქანა, სატვირთო მანქანები და რამდენიმე ჯიპი. კატანგელი უანდარმები კედლად შემოერტყნენ გარს თვითმფრინავს. ოცამდე უანდარმით გაიგსო სივრცე თვითმფრინავებსა და ჯიპს შუა. ჯაშნიანმა მანქანამ ქვემეხი დაუმიზნა თვითმფრინავის კარს. პირველმა მგზავრმა დატოვა „დს-4“. ეს იყო კარგად ჩაცმული აფრიკელი. მის შემდეგ კიდევ სამნი გამოვიდნენ. მათ თვალები ახვეული ჰქონდათ, ხელები — ზურგს უკან შეერული. პირველ მათგანს პატარა წვერი ჰქონდა. როგორც კი ეს სამნი კიბიდან ჩამოვიდნენ, მათ მიესივნენ უანდარმები და დაუწყეს ცემა კარაბინების კონდახებით, შემდეგ კი ჯიპში ჩაყარეს. იმავე მანქანაში ჩაჯდა ოთხი კატანგელი უანდარმი. ერთ-ერთმა ტუჯემ დაიყვირა. ჯიპი დაიძრა, მას მიჰყვა ავტომობილების კოლონა, რომელიც შემდეგ გაემართა აეროდრომის ყველაზე შორეულ ბოლოში, გასასვლელისაკენ. ეს გასასვლელი ამ შემთხვევისათვის სპეციალურად იყო გაკეთებული აეროდრომის გალავანში“.

იმავე ლინდგრენის სიტყვებით, კარგად ჩაცმული აფრიკელი ან ფერნან კოზადი იყო, ან ოონას მუკამბა. ორივე ეკუთვნის კასაის პროვინციის სამხრეთ ნაწილში მცხოვრებ ბალუბას ტომს, ორივე კომისართა კოლეგიის წევრი იყო. პირველს ებარა ეროვნული თავდაცვის საკითხები, მეორეს — შინაგანი საქმეები. კომისართა კოლეგია კონგოს მართავდა 1960 წლის სექტემბრიდან 1961 წლის თებერვლამდე. იგი შექმნა პოლკოვნიკმა მობუტუმ მას შემდეგ, რაც პრემიერი ლუმუმბა გადააყენეს.

მეორე დეტალი, რომელიც აღადგენს იმის სურათს, რაც მოხდა ელიზაბეტვილის აეროდრომზე თვითმფრინავის დაშვების შემდეგ, დღემდე უცნობი რჩებოდა. ჩვენ იგი შევიტყეთ, როცა ამ საქმეს იკვლევდნენ ყოველკვირეულის თანამშრომლები თვით ელიზაბეტვილში. საქმე ეხება წერილს, რომელიც აღმოჩნდა კატანგის შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივებში 1963 წლის ივნისში, მას შემდეგ, რაც ჩომბე და მისი მინისტრები იძულებული გახდნენ გაქცეულიყვნენ კოლვეზიში, როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების მოახლოება იწყებს. ამ წერილში, რომელიც დათარიღებულია 1961 წლის 18 ივნვრით, ნათქვამია:

„ემორი პატრის ლუმუმბა კატანგას მიაყიდეს. იგი ჩამოვიდა გუშინ, 1961 წლის 17 იანვარს „ერ კონგოს“ კომპანიის თვითმფრინავ „დს-4“-ით, შებორკილი იყო, სახე დოლბანდით ჰქონდა შებვეული. მასთან იმყოფებოდა კიდევ ორი კაცი. ჯიპზე, რომელმაც ისინი გადაიყვანა, ოთხი შეიარაღებული ბელგიელი იყო. ჯიპს ახლდა ჯაშნიანი ავტომანქანა ორი ბელგიელით და ერთი სატვირთო ავტომობილი კატანგელი სამხედრო მოსამსახურეებით. ჯიპი დაიძრა ასაფრენ ზოლზე, შემდეგ დასავლეთისაკენ გადაუხვია და აეროდრომიდან გაჩერა გაურკვეველი მიმართულებით. უკვე აეროდრომზე ლუმუმბას საშინლად სცემდნენ... ამას ესწრებოდნენ კატანგის დიქტატორი და კოლონიზატორი გოდფრუა მუონგო, შინაგან საქმეთა მინისტრი და მისი ბელგიელი მეგობრები — კოლონიზატორები. ისინი არ ფარავდნენ თავიანთ სიხარულს იმის გამო, რომ ლუმუმბა, როგორც იქნა, ხელში ჩაუვარდათ.

ელიზაბეტვილის გარშემო და აეროდრომის მიდამოებში მოძრაობა აკრძალული იყო. კოლონამ სწრაფად დატოვა აეროდრომი. ჩაუარა „საბენას კომპანიის სახლს“ და გაჩერდა მის ახლოს, მეორე შენობასთან. ამ შენობას მაშინვე გარს შემოერტყნენ ჯარისკაცები, რომლებიც კოლონას ახლდნენ. ლუმუმბა, ოკიტო და მპოლო ჯიპიდან გამოათრიეს და ამ შენობაში შეიყვანეს. გამვლელნი, რომლებმაც სცადეს დაენახათ, რა ხდებოდა, უანდარმებმა გარეკეს.

დაღამდა თუ არა, კატანგელი ჯარისკაცები გაუშვეს და მხოლოდ 8 კაცი — სამხედრო პოლიციის პირველი ასეულის სამხედრო მოსამსახურენი დარჩა შენობაში ლუმუმბასთან და მის ამხანაგებთან ერთად. კიდევ ვინ შევიდა ამ შენობაში? როგორც ჩანს ერთი ბელგიელი დაქირავებული ჩვენებიდან, რომელიც მან მისცა ლუმუმბას სიკვდილის საქმის გამოძიების მსვლელობაში, რაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მოაწყო, ლუმუმბა მოკლეს ჩომბეს, აგრეთვე მუონგოსა და კატანგის სხვა მინისტრების — ფინანსთა მინისტრ კიბვესა და ინფორმაციის მინისტრ სალამენგეს თანდასწრებით.

ცნობები, რომლებიც ჩვენს განკარგულებაშია, მოწმობენ, რომ იმ შენობაში მყოფი რვა კაციდან, სადაც ლუმუმბა მიიყვანეს, ოთხმა, სახელდობრ ბელგიელმა დაქირავებულებმა გატმა, მიშელმა, ლევამ, რუშეფორმა და კიდევ ოთხმა, რომელთა გვარები ჯერ კიდევ ვერ გამოვარკვიეთ, შეასრულა ჩომბეს განკარგულება, რაც ჩამოყალიბებულია ბრძანებაში, რომლის ტექსტსაც ვაქვეყნებთ. აი ეს დოკუმენტი:

„ამ ბრძანების მიღებისთანავე კაპიტანი უულიენ გატი და სამხედრო პოლიციის I ასეულის ევროპელი სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც დავალების შესასრულებლად კოლვეზიში იმყოფებიან, დაუყოვნებლივ უნდა ჩამოვიდნენ ელიზაბეტვილში. ისინი მოვალენი არიან თავიანთი პასუხისმგებლობით ჩაიბარონ და დაუყოვნებლივ სიკვდილით დასაჯონ პოლიტიკური პატიმრები ლუმუმბა, მპოლო და ოკიტო. ამას მოითხოვს კატანგის სახელმწიფოს ინტერესები.

ხელს აწერს: კატანგის სახელმწიფოს პრეზიდენტი მ. ჩომბე“.

ბრძანების ასეთ ფორმას ჩომბე ხშირად იყენებდა სხვადასხვა საიდუმლო დავალებათა შესასრულებლად. რაც შეეხება დოკუმენტზე ხელმოწერას, მისი გრაფოლოგიური ანალიზი უცილობლად მოწმობს: ეს მოიწ ჩომბეს ნამდვილი ხელმოწერაა. უველა დოკუმენტი, მთელი მონაცემები, რომლებიც ჩვენს განკარგულებაშია, მოწმობენ, რომ სამხედრო პოლიციის პირველი ასეულის სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებმაც ეს ბრძანება მიიღეს, არ დაუტოვებიათ ლუმუმბა და მისი ამხანაგები იმ მომენტიდან, რაც ეს უკანასკნელნი ელიზაბეტვილის აეროდრომზე მიიყვანეს, მათ სიკვდილამდე.

მოკლული ლუმუმბას, მპოლოსა და ოკიტოს გვამები ჩამარხეს ორმოში, რომლის სიღრმე ოცდაათ სანტიმეტრს არ აღემატებოდა, შემდეგ გვამები ამოიღეს და პატარა სატვირთო ავტომობილით წაიღეს მიტოვებულ შახტ „ეტუალინაკენ“ ელიზაბეტვილის ახლოს. მოკლულთა გვამები იქ ჩაყარეს შახტის ფსკერზე, სადაც დღემდე იმყოფებიან.

...სტატიაში შემდეგ ლაპარაკია იმაზე, თუ როგორ სცადა ეუონალის ორმა კორესპონდენტმა, რომლებიც ბელგიაში ჩავიდნენ, აეღო ინტერვიუ ეოფილ კაპიტან — დაქირავებულ ბელგიელ ეუულიენ გატისგან, რომელიც დღეს ცხოვრობს ბრედას გზატკეცილის № 745 სახლში, ანტვერპენის ახლოს.

— ჩვენ, — იუწყებიან „ეენ აფრიკის“ კორესპონდენტები, — ვნახეთ ბაღში ჩაფლული პატარა ორსართულიანი სახლი. ბაღში ბავშვები თამაშობდნენ. ვილის გარაჟის წინ იდგა შავგარსაცმიანი ცისფერი სპორტული ავტომობილი. დგრეკეთ. კარი გაგვიღო ტანდაბალმა კაცმა. გამხდარია, შავი თმა შუბლზე ჩამოშლია, ღია ცისფერი თვალები და დიდი ულვაშები აქვს, აცვია სამხედრო ტანსაცმელი: ხაკისფერი შარვალი და ხაუელოდან გახსნილი პერანგი. ვეკითხებით:

— გვინდა ბატონი ეუულიენ ვნახოთ.

— მე ვარ — რა გინდათ?

— ჩვენ ეურნალისტები ვართ და გვინდა გელაპარაკოთ თქვენთვის ცნობილ საქმეზე.

— მე არასოდეს არ ველაპარაკები ეურნალისტებს.

— მაგრამ თქვენ განუცხადეთ გაზეთ „ნიეგე გაზეტს“, რომ დადგება მომენტი, როცა შეგეძლებათ ილაპარაკოთ ამის შესახებ. ჩვენ აქ მოვედით, რომ შევატყობოთ, ხომ არ დამდგარა ეს მომენტი.

— მე სათქმელი არაფერი მაქვს.

— ხომ არ შეგიძლიათ მაინც დაგვპირდეთ, რომ უფლებას მოგვცემთ პირველმა მოვისმინოთ თქვენი ნაამბობი, როცა ოქვენ მოისურვებთ და შეძლებთ ილაპარაკოთ ამაზე.

— არაფერი არა მაქვს სათქმელი. მიბრძანდით, მიბრძანდით.

კიდევ ერთი კაციც, კატანგის სამხედრო პოლიციის პირველი ასეულის იმ ყოფილ სამხედრო მოსამსახურეთაგან, რომლებიც ერიენენ ლუმუმბას მოკლვაში, ცხოვრობს ბელგიაში. ეს არის ანდრე პროტენი. იგი სამხედრო მოსამსახურეა ბელგიის არმიის ერთ-ერთი ქვეგანაყოფისა, რომელიც მოთავსებულია დაილის მოედანზე ბრიუსელში. ბელგიელები ლევა, რუშეფორი და მიშელი ახლა ყოფნაში არიან. იქ დაბრუნდნენ მას შემდეგ, რაც ჩომბე ბასული წლის ივლისში ხელისუფლებას ჩაუდგა სათავეში. სამივე მსახურობს იმ დაწესებულებებში, რომლებიც დაქირავებულებს განაგებენ. ამ ადამიანებმა იციან, როგორ დახოცეს ლუმუმბა, ოკიტო და მპოლო.

... ტუნისის ყოველკვირეულმა „ეენ აფრიკამ“ თავის უკანასკნელ ნომერში გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც რედაქცია უცილობელი ფაქტებისა და დოკუმენტების დახმარებით ამხილებს ჩომბეს როგორც პატრის ლუმუმბას და მისი ამხანაგების მკვლელს. ახალი ამბების სააგენტო აქვეყნებს ამ სტატიის შემოკლებულ თარგმანს.

◇ ◇

ბოლა გადაცილებული იყო 18 საათს, როცა კომპანია „ერ კონგოს“ კუთვნილი თვითმფრინავი „დს-4“, რომელსაც პილოტობდა ბელგიელი, სახელად ბაუენსი, რადიოთი დაუკავშირდა კატანგის დედაქალაქის აეროდრომის საკომანდო პუნქტს. პილოტი რადიოთი გადასცემდა: „ელიზაბეტვილ, ელიზაბეტვილ! თქვენთვის ძვირფასი ტვირთი მოგვაქვს!“

„დს-4“ თვითმფრინავზე იმყოფებოდნენ პატრის ლუმუმბა, ჟოზეფ იკიტო და მორის მპოლო.

„კატანგის სახელმწიფოს“ შინაგან საქმეთა მინისტრი გოდფრუა მუონგო იმ მომენტში ელიზაბეტვილის აეროდრომზე იმყოფებოდა. იგი გახარებული იყო. მუონგო მიუბრუნდა დაქირავებული ჯარების კაპიტანს ბელგიელ ანდრე პროტენს, რომელიც მას ახლდა, და უთხრა: „ამჯერად ხელიდან ვეღარ დაგვისხლტებიან“. კაპიტანი პროტენი იმ დროს იყო უფროსი მიტვანის სექტორისა, რომელიც ელიზაბეტვილის ჩრდილო-აღმოსავლეთით 460 კილომეტრზე მდებარეობდა, მაგრამ სრულებითაც არ იყო გასაკვირველი, რომ იგი კატანგის დედაქალაქში იმყოფებოდა, როცა სამარი ოპერაციები არ იყო, დაქირავებულ თეთრკანიან ოფიცრებს, თუ უნდოდათ, შეეძლოთ ელიზაბეტვილში ჩამოსულიყვნენ. სპილენძის დამუშავებელი კომპანიის კუთვნილი სასტუმროები „ლეოპოლდ-2“, „ბრიუსელი“, „კატანგა“ მათ თ.ვიანთთან აძლევდნენ ბინას, ხოლო დაქირავებულთა ცხოვრ

„ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულ თარგმანს ლანგლუას სახელოგის პრემია მიენიჭა

დეკემბა კარიზიდან

ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, რომ საფრანგეთის ლიტერატურული და ფართო მკითხველი საზოგადოებრიობა დიდი ინტერესით შეხვდა მოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ სრულ პოეტურ თარგმანს, რომელიც გასულ წელს ცალკე წიგნად გამოსცა საფრანგეთის ერთ-ერთმა უდიდესმა გამომცემლობამ — „გალიმარმ“.

ამ თარგმანის გარშემო საფრანგეთის პრესაში დაიბეჭდა რამდენიმე საყურადღებო სტატია.

ამ დღეებში „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულ ენაზე მთარგმნელმა სერგი ფულაძემ პარიზიდან მიიღო დიპლომი, რომელსაც ხელს აწერს საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის მდივანი მორის ჟენევეა.

დიპლომში აღნიშნულია, რომ საფრანგეთის აკადემიამ თავის მორიგ სხდომაზე „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულ თარგმანს მიანიჭა 1965 წლის ლანგლუას სახელოგის პრემია. ამ პრემიას ყოველწლიურად ერთხელ ანიჭებენ ფრანგულ ენაზე საუკეთესოდ თარგმნილ ნაწარმოებებს.

სერგი წულაძეს ამ დიდ ჯილდოს ულოცავენ და პოემის თარგმანის ღირსებებს აღნიშნავენ იუნესკოს ლიტერატურული განყოფილების გამგე როჟე კაიუა და საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობის საზოგადოება.

„განთიადის დედოფალი“

ქუთაისის თეატრის გასტროლები

ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის გასტროლები თბილისში გრძელდება. უკვე გაეცანით ქუთაელთა სამ სპექტაკლს.

გუშინ წარმოდგენილ იქნა ამირან აბშილავას და ორდე დგებუაძის „**განთიადის დედოფალი**“. ეს არის სათავგადასავლო დრამა ორ ნაწილად.

სპექტაკლის დამდგმელია ახალგაზრდა რეჟისორი თ. მესხი, მხატვარი — თ. ბურვანიძე, მუსიკალური გაფორმება ეკუთვნის ი. ბობოხიძეს.

როლებს ასრულებდნენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტები ვ. მეგრელიშვილი (სანდრო მხეიძე), შ. პირველი (ტიბორ ტამანოვი), საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები ალ. ჭელბაქიანი (ლადო პირტახია), კ. კოლხიდელი (რაინა შინდიაშვილი), მ. გელაშვილი (ირინა რომანესკუ), მსახიობები ი. ბალიაშვილი (პეტრო ტამანოვი), ბ. გურჩიანი (სერგეი სტრსნი), ნ. წიკლაური (ბორის სადოვი) და სხვ.

სპექტაკლი მაყურებელმა გულთბილად მიიღო.

„განთიადის დედოფალი“ განმეორებით შეიძლება ნახოთ 30 ივნისს და 3 იულისს. დღეს წარმოდგენილი იქნება გარსია ლორკას ტრაგედია „**სისხლიანი ქორწილი**“.

უნივერსიტეტი — სკოლების შეფი

დუშეთი. (საკ. კორ.). რაიონში სასახალხო ამბავი შეტყვეს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიურმა ფაკულტეტმა ბარისახოს საშუალო სკოლა-ინტერნატისა და ეკიან-ფშაველას მშობლიური სოფლის ჩოგლის რვაწლიანი სკოლის შეფობა იკისრა.

ახლახან ბარისახოს და ჩარგალს ეწვევნენ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები — მ. ზანდუკელი, ვ. შადური, ვ. ნამორაძე, ნ. ტაბიძე, დ. კიკნაძე, თ. ზანდუკელი და უნივერსიტეტის „ეკონ-ფშაველას კაბინეტის“ ხელმძღვანელი გ. კიკნაძე.

სტუმრები გაეცნენ სკოლების ცხოვრებას, სიუტარი ჰქონდათ მასწავლებლებთან. სტუმრებს აინტერესებდათ სასკოლო ბიბლიოთეკებისა და კაბინეტების მუშაობის საკითხები. ისინი დაპირდნენ, რომ ორივე სკოლის ბიბლიოთეკებს გადასცემენ 200 მანეთის წიგნებს, დახმარებას გაუწევენ სკოლებს ქიმიისა და ფიზიკის კაბინეტების მოწყობაში.

ახალი მოსავლის კონსერვები

ქუთაისი. (საკ. კორ.). საკონსერვო ქარხანაში დაიწყო ახალი მოსავლის მწვანე ბარდის გადამუშავება. მარცვლად დაკონსერვებისათვის უკვე გადამუშავებულია ათობით ტონა ნედლეული.

ქარხანამ უკვე გამოუშვა 100.000 ქილაზე მეტი მწვანე ბარდის კონსერვი.

ტელევიზია — აბიტურიენტებს

უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად კარგი ინიციატივა გამოიჩინეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების კომიტეტმა და საქართველოს მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტმა. აბიტურიენტთათვის უკვე დაიწყო და 1 აგვისტომდე საქართველოს ტელევიზიით გადაიცემა **ლექციების ციკლი ფიზიკაში, ქიმიასა და მათემატიკაში.** ლექციები ეწყობა კვირაში ხუთჯერ: **ორშაბათს, სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათსა და კვირას — ორი აკადემიური საათის ხანგრძლივობით. მეცადინეობა იწყება დილის 10 საათსა და 30 წუთზე.**

ლექციებს კითხულობენ: ფიზიკაში — დოცენტი ვ. კობახიძე, ქიმიაში — დოცენტი გ. თალაკვაძე, მათემატიკაში — უფროსი მასწავლებელი დ. ჯანტურიშვილი.

ირანული მინიატურების ძვირფასი კოლექცია

XVI-XIX საუკუნეების 453 ირანული მინიატურა ინახება საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ფონდებში. საყოველთაო აღიარებით, ეს თითქმის ყველაზე დიდი კოლექციაა საბჭოთა კავშირში.

მუზეუმის მუდმივ ექსპოზიციაში შედის ცნობილი მინიატურისტების რიზა აბასის (XVII საუკუნე), აღა მირეკის (XVI საუკუნის, ბოლო — XVII საუკუნის დასაწყისი), ლუტფ-ალი შირაზის (XIX საუკუნე), შაჰ-ტახმასპის (XVI საუკუნე) და სხვათა ნაწარმოებები. ისინი მნახველთა ყურადღებას იპყრობენ არაჩვეულებრივი დახვეწილი ფილიგრამული შესრულებით, ხასიათების სიზუსტით.

მუზეუმში დაცული მინიატურების მიხედვით შეიძლება თვალი გავადევნოთ, თუ როგორ წარმოიშობა ირანში დროთა ახალი მიმართულება.

ერთ-ერთ თვალსაჩინო საბჭოთა მკვლევარსა და აღმოსავლეთის ხელოვნების მცოდნეს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს შალვა ამირანაშვილს მიაჩნია, რომ ახალი სტილის წარმოშობა დამახასიათებელია აღმოსავლეთის ყველა ქვეყნის ხელოვნებისათვის. მით უფრო საინტერესოა ირანული მინიატურების კოლექცია, რომელთა მიხედვით შეიძლება თვალყური გავადევნოთ ამ პროცესს.

ინტერვიუ მკითხველის თხოვნით

ბურთისებრი ელვა

ამას წინათ გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა პატარა ინფორმაცია „ელვაყაჩაღი“, სადაც აღწერილი იყო ბურთისებრი ელვის მოქმედება. ამ მოვლენამ დაინტერესა მკითხველები და მრავალი შეკითხვა მოვიდა იმის თაობაზე, თუ რას წარმოადგენს ბურთისებრი ელვა, რა იწვევს მას, როგორ შეიძლება მისი „თავდასხმის“ თავიდან აცილება.

ამ რას გვწერს, მაგალითად, ერთ-ერთი წერილის ავტორი, ლაგოდეხის რაიონის სოფელ ვარდისუბნის მცხოვრები ს. ბაძაკაძე:

„გასული წლის ივნისში ჩვენს სოფელში იმგვარი შემთხვევა მოხდა. ერთ-ერთი კოლმეურნის ახალ ბინაში, რომელიც ჯერ კიდევ გაუშართავი იყო, ფანჯრიდან ელვა შეგარდა და ოთახების კარ-ფანჯრების ჩარჩოები სულ ერთიანად დახეთქა. გთხოვთ გვიმასუხოთ, რით აიხსნება ეს მოვლენა და როგორ შეიძლება მისგან თავის დაცვა?“

რას წარმოადგენს ბურთისებრი ელვა, როგორია მისი მოქმედების ხასიათი? ასეთი კითხვით მიმართა ჩვენი გაზეთის კორესპონდენტმა ამიერკავკასიის პიდრომეტეოროლოგიური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის უფროს მეცნიერ მუშაკს ელენე დვალს.

— ბურთისებრი ელვა, — აგვიხსნა მან, — ბუნების იშვიათ მოვლენათა რიცხვს მიეკუთვნება. იგი გვხვდება ძლიერი ელმექანა და წვიმიანი ამინდის დროს. ბურთისებრი ელვა წარმოიშობა უეცრად და ჩვეულებრივ 3-5 წამის, იშვიათად კი რამდენიმე წუთის შემდეგ ქრება. გაქრობას თან სდევს ხან სუსტი ტკაცანი, ან, პირიქით, გამაყრუებელი აფეთქება, რომლის დროსაც ხდება საგნების ფიზიკური დაზიანება. აფეთქების შემდეგ ჰაერში მწვავესუნიანი კვამლი დგება. ბურთისებრ ელვას წაგრძელებული მსხლის ან საზამთროს ფორმა აქვს. ჩვეულებრივ მისი დიამეტრი 10-20 სანტიმეტრს არ აღემატება, ხოლო ზოგჯერ რამდენიმე მეტრს აღწევს.

ბურთისებრი ელვის ბუნება ჯერ-ჯერობით აუხსნელია. არსებობს მრავალი მოსაზრება, მაგრამ სრულყოფილად არც ერთი არ შეიძლება ჩაითვალოს. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ თვით ეს მოვლენა მეტად იშვიათია, თანაც ისე სახმოკლეა მისი მოქმედება, რომ მასზე ექსპერიმენტული დაკვირვება ძნელი ხდება.

მკვლევართა უმრავლესობა ადასტურებს, რომ ბურთისებრი ელვა არ წარმოადგენს ელექტრული განმუხტვის პროცესს, არამედ იგი ელექტრული განმუხტვის შედეგია. ელვის არსში ვითარდება მაღალი ტემპერატურა, რის შედეგადაც მოსალოდნელია ჰაერის შემადგენლობის ცვალებადობა. ფიქრობენ, რომ ამ დროს წარმოიშობა აზოტისა და ჟანგბადის ზეჟანგები, რომლებიც გაცივების შემდეგ ისევ თავის საწყის შემადგენლობას უბრუნდებიან და ამ გარდაქმნის შემდეგ ადგილი აქვს გრგვინვას.

ბურთისებრი ელვა შენობებში შედის ღია ფანჯრებიდან, საკვამლე მილებიდან და ზოგჯერ მცირე ტუტუნანიდანაც კი. იგი შენობაში ან მის მახლობლად მოძრაობს დახლოებით წამში 2 მეტრის სიჩქარით. მოძრაობის დროს ისმის სტვენის მაგვარ ხმა ან ზუზუნი. შემჩნეულია, რომ იგი მოძრაობს ელექტრობის უკეთ გამტარ სხეულების მახლობლად.

ბურთისებრი ელვის შესახებ ცნობები შეკრებილია მხოლოდ მნახველთა შთაბეჭდილებების მიხედვით. სპეციალურ ლიტერატურაში ძალიან იშვიათად შეხვდებით ბურთისებრი ელვის სურათს. ის იმდენად მოულოდნელად გაიელვებს ხოლმე ადამიანის თვალწინ და ჩაქრება, რომ ძნელი ხდება ამ დროს მისი ფოტოფირზე გადატანა. ჩვენი ინსტიტუტის თანამშრომელმა კ. შუგაროვამ საკუთარი თვალით ნახა ბურთისებრი ელვა. აი როგორ აღწერა იგი.

1957 წლის ივლისში ინსტიტუტის სამეცნიერო ექსპედიცია ქუთაისში იმყოფებოდა. მზიანი ამინდი იდგა. უეცრად შავი ღრუბლები ჩამოწვა, ამოვარდა ძლიერი ქარი. დაიწყო ელჭექი და წამოვიდა კოკისპირული წვიმა. ექსპედიციის წევრებმა თავი შეაფარეს ერთ-ერთ შენობას. სულ ბოლოს შენობაში შევიდა კ. შუგაროვი. უეცრად მან ცემენტის იატაკზე შენიშნა ნაირფერი ელვარე ბურთი, დაახლოებით 20 სანტიმეტრი დიამეტრისა. ბურთი სწრაფად გაიარა მოპირდაპირე ღია კარში. გავარდა შენობის ვარეთ, მოუხვია მარჯვნივ და სატელეფონო მავთულებზე აფეთქდა და დაგლიჯა ისინი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბურთისებრი ელვის ბუნება ჯერ კიდევ არ არის დადგენილი და ამდენად მისგან თავდაცვის საშუალებებიც არ არის შემუშავებული. დაცვის ერთ-ერთი საშუალებაა ის, რომ ძლიერი ელჭექის დროს საგულდაგულოდ დაფარეთ ფანჯრები და კარები, გარდა ამისა საკვამლე მილებსა და სხვა საკენტი-ალიცო ჭუჭს შეიძლება გარედან ბადავაკრთ მავთულის ბადე.

სასურველია თუ კი ვინმე მოწმე გახდება ბურთისებრი ელვის მოქმედებისა, მოგვწეროს ამის შესახებ ინსტიტუტში. ასეთი დაკვირვებები დიდ დახმარებას გაგვიწევენ ბუნების ამ მოვლენის რაობის გარკვევაში.

ბურთისებრი ელვა

... ...

... ...

... ...